C 171
1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კრებული

**10**

# СБОРНИК
## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
### МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოქტომბერი

თბილისი 1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XII-74 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6.

შეკვ. № 845 — უე—15520 — ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 10 ივლისის ბრძანება № 590

## პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში არსებული წრეების მუშაობის მოწესრიგების შესახებ

განათლების სამინისტროში შემოსული მასალებიდან ირკვევა რომ საქართველოს რესპუბლიკის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების დიდ ნაწილში მუშაობს ისეთი სახის წრეები, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით მეორეხარისხოვანია და მუშაობის შინაარსით არ პასუხობს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს. პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში არსებული ისედაც მცირე რაოდენობის ფინანსური ჯგუფები არარაციონალურად არის გამოყენებული. რესპუბლიკის 57 ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ტექნიკური ხასიათის წრეები და ისიც მცირე რაოდენობით, შექმნილია მხოლოდ ახმეტის, მაიაკოვსკის, ხობის, ამბროლაურის, ბათუმის, ლენინგორის, თერჯოლის, გარდაბნის, ახალქალაქის, მახარაძისა და ჩოხატაურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში. და ეს იმ დროს, როდესაც, არსებული წესის მიხედვით, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში დაკომპლექტებული წრეების საერთო რაოდენობის 30—40% უნდა იყოს ტექნიკური ხასიათისა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამბროლაურის, სამტრედიის, ყვარლის, ლენტეხის, ცაგერის, ქარელის, თეთრიწყაროსა და რიგი სხვა რაიონების პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრეების ხელმძღვანელებად დანიშნულნი არიან საშუალო განათლების მქონე პირები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 10 ივლისის ბრძანება № 590

### პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში არსებული წრეების მუშაობის მოწესრიგების შესახებ

განათლების სამინისტროში შემოსული მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოს რესპუბლიკის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების დიდ ნაწილში მუშაობს ისეთი სახის წრეები, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით მეორეხარისხოვანია და მუშაობის შინაარსით არ პასუხობს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს. პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში არსებული ისედაც მცირე რაოდენობის ფინანსური ჯგუფები არარაციონალურად არის გამოყენებული. რესპუბლიკის 57 ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ტექნიკური ხასიათის წრეები და ისიც მცირე რაოდენობით, შექმნილია მხოლოდ ახმეტის, მაიაკოვსკის, ხობის, ამბროლაურის, ბათუმის, ლენინგორის, თერჯოლის, გარდაბნის, ახალქალაქის, მახარაძისა და ჩოხატაურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში. და ეს იმ დროს, როდესაც, არსებული წესის მიხედვით, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში დაკომპლექტებული წრეების საერთო რაოდენობის 30—40% უნდა იყოს ტექნიკური ხასიათისა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამბროლაურის, სამტრედიის, ყვარლის, ლენტეხის, ცაგერის, ქარელის, თეთრიწყაროსა და რიგი სხვა რაიონების პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრეების ხელმძღვანელებად დანიშნულნი არიან საშუალო განათლების მქონე პირები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყო-

ფილებათა გამგეებმა გადასინჯონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლ-ფილებათა... 

ბში ამჟამად არსებული წრეები და მათ ბაზაზე შექმნან შერჩევით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) შემეცნებითი საკვლევაძიებო მუშაობის დარგში: ნორჩ მხარეთმცოდნეთა (გეოგრაფ-მხარეთმცოდნეთა, ისტორიის-ნორჩ მემარქიანეთა, ძეგლის ნორჩ დამცველთა, გეოლოგთა, ტურისტთა, არქეოლოგთა, ფოლკლორისტთა, ფსიქოლოგთა, ტოპონიმიკოსთა); ნორჩ ნატურალისტთა (ნორჩ მეყვავილეთა, მეხილეთა, მევენახეთა, მებოსტნეთა, ტექნიკური კულტურების შემსწავლელთა, სამკურნალო მცენარეთა, ფენოლოგთა, მეკურდღლეთა, მეფრინველეთა, მეფუტკრეთა, აგროქიმიის, ბუნების დაცვის) წრეები;

ბ) მხატვრული და მუსიკალური აღზრდის დარგში:

მხატვრული კითხვისა და ლიტერატურის, დრამატული, სახვითი ხელოვნების, მომღერალთა, სიმებიანი და სასულე ორკესტრის, გიტარის დამკვრელთა, ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლები, ქორეოგრაფიული და სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი წრეები;

გ) სამხედრო-პატრიოტული აღზრდის დარგში:

სხვადასხვა სახის სპორტული სამხედრო თამაშობებისა და წითელ კვალიმმაძიებელთა;

დ) პიონერულ და კომკავშირულ აქტივთან მუშაობის დარგში:

პიონერული აქტივის წრე, უფროსკლასელთა და ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბები, ხოლო შრომითი აღზრდიდან — კულინარიის, ჭრა-კერვისა და სხვ;

ე) ტექნიკური შემოქმედებიდან:

ნორჩ ელექტროტექნიკოსთა (დამწყებთათვის), ნორჩ რადიომოყვარულთა (დამწყებთათვის), ავტომატიკა-ტელემექანიკის (დამწყებთათვის), ნორჩ მხაზველთა, ნორჩ ავიამოდელისტთა, ნორჩ ხელმარჯვეთა, ნორჩ კინომექანიკოსთა და ნორჩ ფოტომოყვარულთა წრეები.

2) ზემოდასახელებული წრეების გარკვეული ნაწილი შეიქმნას საზოგადოებრივ საწყისებზე.

3) წრეების ხელმძღვანელებად შერჩეულ იქნენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში რაიონში ცნობილი მოწინავე პედაგოგები, რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება და ბავშვთა შორის მუშაობის გამოცდილება.

4) წრეების გადასინჯვისას დაცულ იქნეს პროცენტული შეფარდება (ტექნიკური შემოქმედების წრეებს დაეთმოს 30—40%). არსებული წრეების ბაზაზე ახალი სახის წრეების ჩამოყალიბება და

ხელმძღვანელების შერჩევა-დანიშვნა დამთავრდეს მ/წლის 1 სექტემ-ბრამდე.

ეროვნული

5) კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ი. ბალავაძემ) პიონერთა და მოსწავლეთა სახლების წრეების მუშაობის მოწესრიგების შედეგებზე მასალები სამინისტროს წარმოუდგინოს მ/წლის 1 დეკემბრამდე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 27 ივნისის დადგენილება.

მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 11 ივლისის ბრძანება № 595

### რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუსიკალური სტუდიების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

როგორც განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1974 წლის 26 მარტის დადგენილებიდან და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუსიკალური სტუდიების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რესპუბლიკაში ყოველწლიურად ფართოვდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუსიკალური სტუდიების ქსელი. ამჟამად რესპუბლიკის 458 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან გახსნილ მუსიკალურ სტუდიებში 24.252 მოსწავლე იღებს ზოგად მუსიკალურ განათლებას. ამ სტუდიებში გაერთიანებულ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ უფრო ღრმად გაეცნონ მუსიკალურ ლიტერატურას, დაეუფლონ საშემსრულებლო ხელოვნების საფუძვლებს და შეიძინონ დამოუკიდებელი მუზიცირების ჩვევები.

მთელი რიგი შემოწმებული მუსიკალური სტუდიების მეცადინეობის ცხრილი და მათი საქმიანობა სათანადოდაა შეხამებული სკოლის რეჟიმთან და ემსახურება საშუალო სკოლის მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას, მუსიკალური ხელოვნებისადმი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივებას. ამ მიზნით, სტუდენტების ხელმძღვანელობით ეწყობა მრავალფეროვანი საერთო-სასკოლო ღონისძიებები: ლექცია-კონცერტები, მუსიკალური ვიქტორინები, შეხვედრები გამოჩენილ მუსიკოსებთან, კომპოზიტორებთან, მომღერლებთან და სხვ.

ზოგიერთ სტუდიაში პერიოდულად გამოდის სპეციალური კედლის გაზეთი, რომელიც აშუქებს ყველა ღირსშესანიშნავ მუსიკალურ თარიღს და მოვლენას, აგრეთვე თვით მუსიკალური სტუდიის ცხოვ-

რებასა და საქმიანობას. ზოგიერთი სტუდია თაოსნობს სკოლაში „მუსიკის ნორჩ მოყვარულთა კლუბის“ ჩამოყალიბებასა და მუშაობას. მაგალითად, ქ. სოხუმის მე-5, და მე-13 საშუალო სკოლების სტუდიებს საკლუბო მუშაობის საინტერესო გამოცდილება დაუგროვდათ, რაზედაც ნათლად მეტყველებს ამ მუშაობის ამსახველი სტენდები — „მუსიკის სამყაროში“ და ფოტოალბომები. მრავალფეროვანია კლუბის ყოველი შეკრების თემატიკა, მიზანი კი ერთია — მიუახლოვონ მოსწავლეები მუსიკის სამყაროს, განავითარონ მათში შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

მუშაობის კარგი ორგანიზაციით, სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანებისადმი შემოქმედებითი მიდგომით გამოირჩევიან ქ. თბილისის მე-60, 128-ე 123-ე, 64-ე, ქ. სოხუმის მე-5, მე-2, მე-13, მე-19, მე-20, ქ. ზუგდიდის 1-ლი და მე-2, ლანჩხუთის რაიონის შუხუთის საშუალო სკოლების სტუდიები.

აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელებს მუსიკალურ სტუდიებთან დამყარებული აქვთ საჭირო კონტაქტები, ამ სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე სისტემატურად იხილება საკითხები სტუდიების მუშაობის შესახებ და ისახება საჭირო ღონისძიებანი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

ქ. თბილისის 123-ე, 128-ე, მე-60, გაგრის 1-ლი, სოხუმის რაიონის ეშერის, ქ. სოხუმის მე-2, მე-3, მე-6, მე-10, მე-12, მე-13, მე-19, მე-20, ზუგდიდის 1-ლი, მე-2, მახარაძის რაიონის შრომის, ლანჩხუთის რაიონის შუხუთისა და ზოგი სხვა საშუალო სკოლების ხელმძღვანელები ყოველგვარ პირობას უქმნიან მუსიკალურ სტუდიებს.

სასკოლო დოკუმენტაცია წესრიგში აქვთ ქ. თბილისის მე-60, 128-ე, 134-ე, 62-ე და 123-ე სკოლების მუსიკალურ სტუდიებს.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ პედაგოგები: ლ. ამბოკაძე (ქ. თბილისის 54-ე საშ. სკ.) ვ. ალხაზოვა, თ. ჩიკოიძე, ჯ. მაისურაძე, (ქ. თბილისის 123-ე საშ. სკ.), მ. კარდენახიშვილი, ი. რუხაძე (ქ. თბილისის 151-ე საშ. სკ.), ა. ჩხეიძე. ლ. ღარიბაშვილი, ლ. დარსაველიძე (ქ. თბილისის მე-60 საშ. სკ.), ნ. კერესელიძე (ქ თბილისის 126-ე საშ. სკ.), ვ. გოგოლაძე, ი. კუკავა, ლ. რევიშვილი (ქ. თბილისის 134-ე საშ. სკ.), ვ. ცობეხია ქ. სოხუმის მე-5 საშ. სკ.), გ. გეზერდავა (ქ. გუდაუთის მე-3 საშ. სკ.), ს. ზავილეისკაია (გაგრის 1-ლი საშ. სკ.), ნ. მიმინოშვილი (ქ. სოხუმის მე-5 საშ. სკ.), ს. პანშინა (სოხუმის პიონერთა სახლის მუსიკალური სტუდია), ნ. გუგუჩია (სოხუმის მე-5 საშ. სკ.), ნ. პინდიისი (სოხუმის მე-14 საშ. სკ.), ლ,იშჩენკო (სოხუმის მე-19 საშ. სკ.), ნ. ჩიქოვანი (ზუგდიდის მე-7 საშ. სკ.) და სხვ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდიები ყოველ სასწავლო წელს სისტემატურად ღებულობენ მონაწილეობას ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მუსიკალური განყოფილების მიერ შემუშავებულ ღონისძიებებში.

სარაიონო, საქალაქო დათვალიერებებში მონაწილე მოსწავლეთა სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობა მოწმობს, რომ მუსიკალური ხელოვნება მნიშვნელოვან ადგილს იჭერს სკოლების ცხოვრებაში.

მიუხედავად ამისა, მუსიკალური სტუდიების მუშაობაში მთელი რიგი ნაკლოვანებები აღინიშნება:

ზუგდიდის რაიონის რუხის, ორსანტიის, ხობის რაიონის ხეთის, ქ. ოჩამჩირის მე-2 და მე-4, ქ. ზუგდიდის მე-7, მე-12, ქ. სოხუმის მე-4, მე-7, მე-9, ქ. თბილისის 137-ე, 63-ე და 57-ე საშუალო სკოლებისა და სოხუმის პიონერთა სახლის მუსიკალურ სტუდიებს მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა. დასახელებული სკოლების დირექციებს სტუდიებისათვის ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობის ჩასატარებლად მხოლოდ ერთი ან ორი ოთახი აქვთ გამოყოფილი, ეს გარემოება შეუძლებელს ხდის სტუდიის ნორმალურ მუშაობას.

შეუწყნარებლად ცუდია მუსიკალურ საკრავთა ტექნიკური მდგომარეობა ქ. თბილისის 134-ე, 151-ე, 126-ე, ქ. ფოთის მე-5, ქ. ზუგდიდის მე-7, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხისა და სოფელ კოკის საშუალო სკოლებში.

ქ. ოჩამჩირის მე-4. სოხუმის 1-ლი. მე-2; მე-9, მე-14, მე-16, მე-20. სოხუმის რაიონის ეშერისა და გუმისთის საშ. სკოლების სტუდიებში თეორიული დისციპლინების სწავლებისას ირღვევა სტუდიის დებულებით დადგენილი სასწავლო გეგმა, ხოლო ლანჩხუთის მე-3 საშ. სკოლაში თეორიული დისციპლინები საერთოდ არ ისწავლება.

შემოწმებული სტუდიების უმრავლესობაში თეორიულ საგნებს არასპეციალისტები ასწავლიან, რაც განაპირობებს სწავლების დაბალ დონეს. ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგოითის საშუალო სკოლის სტუდიაში, სადაც ირიცხება 15 მოსწავლე, თეორიულ დისციპლინებს ასწავლის არასპეციალისტი ნ. ფირცხალაიშვილი. იგივე მდგომარეობაა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურყვეთის საშუალო სკოლაში. ქ. ოჩამჩირის მე-4 საშუალო სკოლის მუსიკალურ სტუდიაში, ხოლო ზუგდიდის რაიონის ინგირის 1-ლი საშუალო სკოლის მუსიკალურ სტუდიაში აღნიშნულ დისციპლინებს ასწავლის ქ. სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის ფორტეპიანოს სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი ც. კოდუა, იმავე რაიონის სოფელ კოკის საშუალო

სკოლის სტუდიაში ყველა სასწავლო დისციპლინას ასწავლის მუსიკალური ათწლედის კურსდამთავრებული თ. ნარმანია, ქ. ზუგდიდში შემოწმებული 8 ზოგადსაგანმანათლებლო — სკოლის სტუდიის 49 პედაგოგიდან მხოლოდ სამს აქვს უმაღლესი განათლება—დამთავრებული აქვს ა. ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკა-ფილოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო 33 პედაგოგს არა აქვს სტუდიებში სწავლების უფლება სათანადო კვალიფიკაციის უქონლობის გამო.

ქ. ბათუმის მუსიკალურ სტუდიებში მომუშავე პედაგოგთა დიდი ნაწილი კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებულია. მათ მიერ ჩატარებულმა გაკვეთილებმა ცხადყო, რომ ისინი თავს ვერ ართმევენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს და მეთოდურად არასწორად აგებენ გაკვეთილებს.

მუსიკალურ სტუდიებში ნორმაზე დაბალია პედაგოგთა დიდი ნაწილის სასწავლო დატვირთვა; ბევრი მათგანი კვირაში 4 საათზეც კი მუშაობს, მაგალითად, ქ. თბილისის 57-ე სკოლის სტუდიაში 5 პედაგოგის დატვირთვა თითო ან ორი მოსწავლით განისაზღვრება, ასეთივე მდგომარეობაა თბილისის 54-ე და 128-ე საშუალო სკოლების სტუდიებში.

შემოწმებამ ცხადჰყო, რომ სტუდიებში არადამაკმაყოფილებლად აწარმოებენ სასკოლო დოკუმენტაციას. სასკოლო ჟურნალებში, უმეტეს შემთხვევაში, სრულიად არ არის ფიქსირებული მოსწავლის სასწავლო რეპერტუარზე მუშაობის პროცესი და ეტაპები. მოსწავლეთა პირად საქმეებში არსებული დახასიათებები არ იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების, მუსიკალური და ტექნიკური განვითარების დონისა და ამასთან დაკავშირებული პედაგოგიური ამოცანების სურათს, ხშირ შემთხვევებში არ წარმოებს მოსწავლეთა დახურულ და ღია კონცერტებზე გამოსვლის ფიქსირება. მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმები, რომელთა გონივრულ შედგენაზეა დამოკიდებული მოსწავლის თანმიმდევრული და ჰარმონიული განვითარება, სასწავლო რეპერტუარის ყოველგვარი ნორმების დაცვის გარეშეა შედგენილი: ასე მაგალითად, ქ. ზუგდიდის მე-4 საშ. სკ. პედაგოგს ი. ხოშტარიას, ნაცვლად პროგრამით გათვალისწინებული 8-10 ნაწარმოებისა, მოსწავლეზე 4-5 ნაწარმოების შესწავლა აქვს დაგეგმილი, იმავე სტუდიის პედაგოგს კ. ფიფიას მე-2 კლასის მოსწავლის ინდივიდუალურ გეგმაში, სავალდებულო 8-9 ნაწარმოების ნაცვლად, გათვალისწინებული აქვს 3 ნაწარმოები, ქ. ზუგდიდის მე-8 სკოლის პედაგოგი მ. კაკულია კი, მე-3 კლასის მოსწავლისათვის

პროგრამით განსაზღვრული 9-10 შესასწავლი ნაწარმოების ნაცვლად, 4 ნაწარმოებით შემოიფარგლა.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ინდივიდუალურ გეგმებში მოცემული სასწავლო რეპერტუარი ან აღემატება მოსწავლის მუსიკალურ-საშემსრულებლო შესაძლებლობებს და არ შეესაბამება მის ასაკობრივ თავისებურებებს, ან მთლიანად წინა კლასების რეპერტუარიდანაა შედგენილი; მაგალითად, აბაშის რაიონის ონტოფოს საშუალო სკოლის პედაგოგ რ. დარახველიძის გამოსაშვები კლასის სამივე მოსწავლის პროგრამა შეეფარდებოდა მუსიკალური სტუდიის მე-4-5 კლ. შესაძლებლობებს. ზოგჯერ ინდივიდუალურ გეგმებში უგულებელყოფილია ისეთი სავალდებულო ფორმები, როგორიცაა პოლიფონია, სონატური ფორმა, ანსამბლი და სხვ.

არადამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილებას ტოვებს მოსწავლეთა დღიურების წარმოება. მათში არ არის დაცული სტუდიის ამ სახეობის დოკუმენტაციის წარმოების სპეციფიკა.

ქ. ზუგდიდის მე-7 და მე-12 საშუალო სკოლების სტუდიებში არ აწარმოებენ სამუშაოზე პედაგოგთა გამოცხადების აღრიცხვას.

არადამაკმაყოფილებლად აწარმოებენ დოკუმენტაციას ლანჩხუთის მე-5 საშუალო სკოლის და დაბა წყნეთის სტუდიები. სერიოზულის. ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიისა და დარჩელის. ქ. ფოთის რაიონის სოფ. ნიგოითისა და ლანჩხუთის მე-3 სკოლის ნაკლოვანებებია დოკუმენტაციის წარმოებაში აგრეთვე აჭარის ასსრ თირამიტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკალურ სტუდიებში; მაგალითად, ქ. ბათუმის მე-16 საშ. სკოლის მუსიკალური სტუდიის ყოფილი გამგის ნ. დიმიტრაძის ცუდი მუშაობის შედეგია ამ სტუდიის მოსწავლეთა თითო რაოდენობით განთესვა (106 მოსწავლიდან 13-მდე). ამავე მიზეზით მოხდა ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის საშუალო სკოლის სტუდიის ლიკვიდაცია.

არავითარი სახის დოკუმენტაცია არ აღმოაჩნდათ ქ. თბილისის 1-ლი გახანგრძლივებული სკოლის, ხობის რაიონის სოფელ ხეთისა და ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლების სტუდიებს.

სტუდიების ცალკეული პედაგოგთა მუშაობის შემოწმებისას დადებითი პროფესიული დონე გამოავლინეს სპეციალური საგნების პედაგოგებმა: დ. შალიბაშვილმა (გუდაუთის მე-3 საშ. სკ.), ნ. ლოლაძემ (გორის 1-ლი საშ. სკ.), ნ. ჩაჩუამ და მ. შატირინცომ (სოხუმის პიონერთა სასახლის სტუდია), თ. ცაავამ, ა. ხაზიაშვილმა, ც. ჯაყობიამ და [illegible] (ქ. სოხუმის მე-16 საშ. სკ.), თ. კიცხელიამ და ნ. პავ-

ლიაშვილმა (ქ. სოხუმის მე-6 საშ. სკ.), ნ. ჯორჯიკიამ და საბიკიამ (ქ. სოხუმის 1-ლი საშ. სკ.), ხ. ქორჩილავამ და ვ. სტაფიმ (ქ. სოხუმის მე-9 საშ. სკ.), ნ. ავალიანმა (ქ. სოხუმის მე-19 საშ. სკ.) და კ. [illegible]-ლიანმა (სოხუმის რაიონის გუმისთის საშ. სკ.), პეტუხოვამ და ი. ოემეჟეცმა (ქ. სოხუმის მე-10 საშ. სკ.), ი. კობალავამ (ლანჩხუთის მე-3 ნ. ხარსიამ (ქ. ზუგდიდის 1-ლი საშ. სკ.), რ. ქირიას, ი. ხოშტარიამ სკ), მ. კუციამ (ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთის საშ. სკ.), ნ. ხარსიამ ((ქ. ზუგდიდის 1-ლი საშ. სკ.), რ. ქირიას, ი. ხოშტარიამ და კ. ფიფიამ (ზუგდიდის მე-4 საშ. სკ.), ვ. მამუგიამ და მ. ათელავამ (ქ. ზუგდიდის მე-6 საშ. სკ.), მ. უზარაშვილმა და მ. თოდუამ (ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშ. სკ.), ს. ღურწკაიამ, ხ. მიბჯოიამ და ლ. მაქაცარიას, (ქ. ზუგდიდის მე-3 საშ. სკ.), მ. კაკულიამ, შ. ნანავამ და მ. ჭანტურიამ (ქ. ზუგდიდის მე-8 საშ. სკ.), აგრეთვე თეორიული დისციპლინების პედაგოგებმა: ე. დედიაშვილმა (ოჩამჩირის მე-4 საშ. სკ.), ს. სიბირიაკოვამ (ქ. სოხუმის მე-17 საშ. სკ.), ს. ტრიანდაფილიდიმ (ქ. სოხუმის მე-20 საშ. სკ.), გ. ჯიქიძემ (ქ. სოხუმის 1-ლი საშ. სკ.), ც. კოდუამ (ქ. ზუგდიდის 1-ლი საშ. სკ.), მ. ფეიქრიშვილმა, გ. სულაძემ, გ. თევზაძემ, გ. ჩიტაიშვილმა (ქ. თბილისის 137-ე საშ. სკ.), ქ. ბირკაიამ, ე. გაგოშიძემ, ნ. თევდორაძემ, ნ. ღვინიაშვილმა, ე. ლომთათიძემ, ლ. ხახიაშვილმა (ქ. თბილისის 57-ე საშ. სკ.), ნ. ჩუბინიძემ, ნ. ომიაძემ, ნ. ქუფარაშვილმა, ე. ოგანეზოვამ, ზ. გაბისონიამ (ქ. თბილისის 54-ე საშ. სკ.), ზ. ბუაძემ, ნ. მეიშვილმა, ნ. გოდერძიშვილმა (ქ. თბილისის 150-ე საშ. სკ.), დ. ჩიქვილაძემ (ქ. თბილისის 128-ე საშ. სკ.), ი. სტურუამ, მ. ბალაშვილმა (ქ. თბილისის 62-ე საშ. სკ.), ლ. ქურდაძემ, ტ. სალუქვაძემ, ს. მუგდუსაევამ (ქ. თბილისის 63-ე საშ. სკ.), ნ. ილურიძემ, კ. ასათიანმა, ლ. მაიაშეროვამ, ლ. ივანოვამ, ქ. გელაძემ, კ. მალიანმა, (ქ. თბილისის 52-ე საშ. სკ.), ა. ჩხეიძემ, ზ. ტკაჩოვამ, რ. მეჯერიჩერმა (ქ. თბილისის 56-ე საშ. სკ.), ა. დავითაშვილმა, ც. მაისურაძემ (ქ. თბილისის 126-ე საშ. სკ.), ე. აჯიაშვილმა, მ. ქორიძემ, ლ. ბაკურაძემ (ქ. თბილისის 151-ე საშ. სკ.), მ. ბედენეიშვილმა (ქ. თბილისის მე-60 საშ. სკ.), მ. ლექავამ (ქ. თბილისის 134-ე საშ. სკ.).

სათანადო კვალიფიკაცია არა აქვთ და პროფესიულად მოუმზადებელი პედაგოგები არიან ლ. დანელია (გეგეჭკორის რაიონის სოფელ დარჩელის საშ. სკ.), ნ. ფირცხალაიშვილი (ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგოითის საშ. სკ.), თ. ნარმანია (ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის საშ. სკ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებული სტუდიების უმეტეს ნაწილში მოუგვარებელია პედაგოგთა შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება. ბევრი პედაგოგის პირადი საქმე მოუწესრიგებელია: აკლია ზოგიერთი აუცილებელი დოკუმენტი, ბევრ მათგანს კი შრომის წიგნაკიც არა აქვს. საერთოდ, შრომის წიგნაკების წარმოებისა და აღრიცხვის საქმე არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული.

ზოგჯერ სრულყოფილად არ ფორმდებოდა სატარიფიკაციო სიები. იყო შემთხვევები, როცა ხელფასის ანაზღაურებისას საშუალო სკოლებთან არსებული მუსიკალური სტუდიების კურსდამთავრებული პედაგოგები გათანაბრებული იყვნენ საშუალო სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლებთან, რაც შემოწმების პროცესში გამოსწორებულ იქნა.

მცირეკონტინგენტიანი მუსიკალური სტუდიების მასწავლებლები ზოგჯერ უზრუნველყოფილი არ არიან მთელი წლის ხელფასით, თანხების უკმარისობის გამო, ზოგიერთ სტუდიაში მასწავლებლებს საშვებულებო თანხები შემცირებულად ეძლევათ.

სტუდიების მასწავლებლებისა და სხვა მუშაკების შრომის ანაზღაურება უნდა ხდებოდეს 1972 წლის 13 ივლისის № 522 დადგენილებით დაწესებული განაკვეთებით, რაც მუსიკალურ სტუდიებამდე დღემდე დაყვანილი არ არის.

რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები ხშირ შემთხვევაში არ იცნობენ მუსიკალური სტუდიების სპეციფიკას და არასწორ გადაწყვეტილებას იღებენ სტუდიების მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების ჩატარებისა და სხვა საკითხების განხილვისას.

მუსიკალურ სტუდიებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო., ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუსიკალური სტუდიების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და მუსიკალური სტუდიების სასწავლოფაღმზრდელობით მუშაობაზე, ორგანიზაციასა და ანაზღაურების მდგომარეობაზე, მიიღონ გადამჭრელი ზომები ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) არ დაუშვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუსიკალური სტუდიების გახსნა, თუ ისინი უზრუნველყოფილი არ იქნებიან შესაფერისი მატერიალური ბაზით და სათანადო კონტინგენტით (ქალაქად — არანაკლებ 50 მოსწავლისა, სოფლად — 30 მოსწავლისა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აღრიცხვაზე აიყვანონ და გამოიყენონ კვალიფიკაციის მიხედვით მუსიკალურ სტუდიებში სამუშაოდ მხოლოდ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრები;

დ) 1974—75 სასწავლო წლისათვის, სათანადო წესის დაცვით, სამუშაოდან გაათავისუფლონ შესაფერისი კვალიფიკაციის არამქონე, პროფესიულად მოუმზადებელი პედაგოგები;

ე) იზრუნონ მუსიკალური სტუდიების იმ პედაგოგების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რომლებმაც შემოწმებისას გამოავლინეს დაბალი პროფესიული დონე;

ვ) არ დაუშვან სკოლებში საზოგადოების ან სხვა უწყებების მიერ მუსიკალური სტუდიებისა და წრეების გახსნა, ხოლო აქამდე არსებული ასეთი სტუდიები დაუყოვნებლივ გააუქმონ ან დაუქვემდებარონ განათლების ორგანოებს;

2) ლიკვიდირებულ იქნეს ან შეუერთდეს ახლომდებარე სკოლების მუსიკალურ სტუდიებს იმ ქალაქებისა და სოფლების მუსიკალური სტუდიები, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სადაც მოსწავლეთა კონტინგენტი შემცირებულია 20-მდე;

3) დაისვას საკითხი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს (მინისტრი ამხ. ო. თაქთაქიშვილი) წინაშე, რათა საშუალო სპეციალურ მუსიკალურ სასწავლებლებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფორტეპიანოს სწავლების, მეთოდიკისა და პრაქტიკის სწავლების მდგომარეობას.

4. ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ჯ. მუჯირმა):

ა) ახალი სასწავლო წლისათვის გადაახალისოს დებულებაში მოცემული „განმარტებები მუსიკალური სტუდიის დაფინანსების ზოგიერთ საკითხზე“ სკკპ ცკ-ის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 13 ივლისის № 522 დადგენილების საფუძველზე;

ბ) მეთოდურ დახმარებასთან ერთად განახორციელოს მუდმივი პრაქტიკული ხელმძღვანელობა და კონტროლი რესპუბლიკის მუსიკალური სტუდიებისადმი;

გ) სისტემატურად განიხილოს და გადაწყვიტოს მუსიკალური

სტუდიების მოსწავლეთა გამოცდებზე დაშვების, კლასიდან კლასში გადასაყვანი, დამამთავრებელი და ექსტერნის წესით გამოცდების ჩატარების საკითხები.

5. სკოლების სამართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 27 ივნისის დადგენილება

მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 12 ივლისის ბრძანება № 596

### სპეციალიზებული გამოფენის „სასკოლო მოწყობილობა — 73" შედეგების გათვალისწინებით რესპუბლიკის სკოლების სასწავლო მოწყობილობებით აღჭურვის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

ქ. მოსკოვში 1973 წლის დამლევს მოწყობილი საერთაშორისო სპეციალიზებული გამოფენა „სასკოლო მოწყობილობა—73" მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს სკოლების სასწავლო მოწყობილობებით აღჭურვის საქმეში.

გამოფენაზე დიდი მოწონება დაიმსახურა საბჭოთა პავილიონში წარმოდგენილმა დაახლოებით 5.0 ათასი დასახელების ექსპონატმა. ექსპონირებულ მასალებს შორის დიდი ადგილი დაეთმო სასწავლო კაბინეტების მოწყობას ახალ სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით, ტექნიკურ საშუალებათა და სხვადასხვა დიდაქტიკურ მასალათა გამოყენებას. აღინიშნა სამამულო მრეწველობის მიერ გამოშვებული სასკოლო ავეჯისა და სასკოლო მოწყობილობათა მაღალი ხარისხი.

გამოფენამ ცხადყო, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდი მუშაობა ტარდება სკკპ 24-ე ყრილობის დირექტივების შესრულების საქმეში — სკოლის სასწავლო—მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და თანამედროვე სასწავლო მოწყობილობებით სკოლების აღჭურვის საქმეში.

ამასთან, გამოფენის მასალებმა ცხადყო, რომ ზოგიერთი სასწავლო მოწყობილობა ჯერ კიდევ საჭიროებს ხარისხის გაუმჯობესებასა და სრულყოფას. მათი დამზადების საქმეში ნაკლებადაა გამოყენებული მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევები.

სასკოლო მოწყობილობის შემდგომი სრულყოფისა და სკოლების თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების (ამხ. რ. კანდელაკი), მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა (ამხ. გ. კბილაშვილი) სამმართველოებმა მიიღონ გადა-

ეროვნული

მჭრელი ზომები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო თვალსაჩინო მასალის, ტექნიკურ საშუალებათა და სასწავლო მოწყობილობათა ფართოდ დანერგვისა და გამოყენების საქმეში უზრუნველყონ სასწავლო საშუალებათა მეცნიერული და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, მაღალი ტექნიკურ-პედაგოგიური მოთხოვნა და აპარატურის მოხერხებულად გამოყენება, ავეჯისა და საკლასო დაფების ხარისხის გაუმჯობესება, ყველა სასწავლო მოწყობილობისა და ავეჯის ესთეტიკური გაფორმება.

2. პედაგოგიკის კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე) გაატაროს ღონისძიებანი სასწავლო მოწყობილობათა მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის საქმეში. მიიღოს ზომები გამოშვებული მოწყობილობების პედაგოგიურ პროცესში გამოყენების დონის ასამაღლებლად. ცალკეულ დისციპლინებში კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობისათვის სათანადო რეკომენდაციების შესამუშავებლად.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) და შრომითი და პოლიტექნიკური სწავლებისა და სასკოლო ტექნიკურ საშუალებათა რესპუბლიკურმა მეთოდკაბინეტმა (ამხ. დ. გვალია):

— შეარჩიონ საბაზო სკოლები კაბინეტური სისტემით მეცადინეობისათვის, აღჭურვონ ისინი თანამედროვე სასწავლო მოწყობილობებით, ტექნიკური საშუალებებითა და ავეჯით უზრუნველყონ ამ სკოლებში სასწავლო მოწყობილობათა სანიმუშო გამოყენება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. ამ სკოლების ბაზაზე ჩაატარონ მასწავლებელთა, დირექტორთა და განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და სემინარები;

მასწავლებელთა, დირექტორთა და განათლების მუშაკთა გადასამზადებელ კურსებზე ყურადღება გაამახვილონ ისეთი საკითხების შესწავლაზე, რომლებიც დაკავშირებულია სკოლების მოწყობილობებით აღჭურვის პრობლემებსა და მათი სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში გამოყენებასთან;

განაზოგადონ კაბინეტურ სისტემაზე გადასული ქალაქის სკოლების მუშაობისა და ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების საუკეთესო გამოცდილება. ამ მიზნით მოაწყონ ზემოხსენებულ სკოლებში რაიონული და საქალაქო ღია გაკვეთილები და ჩატარებული გაკვეთილების განხილვა-გარჩევა;

სისტემურად მოაწყონ მასწავლებლებისათვის მოდერნიზებულ

და ახლად გამოშვებულ ხელსაწყოთა სწავლებაში გამოყენების გაცნობა-შესწავლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. გრ. საჯაია) და გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე) ფართოდ გააშუქონ კაბინეტური სისტემის ორგანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები; სისტემატურად გამოაქვეყნონ ახალი ხელსაწყოებისა და აპარატების აღწერა, სქემები და მათი გამოყენების მეთოდები, მეთოდური წერილები სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა და თვალსაჩინოებათა გამოყენების შესახებ. ამ მიზნით მოიზიდონ გამოცდილი პედაგოგები და განათლების მუშაკები.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) პერიოდულად შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

მინისტრის მოადგილე — უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 22 ივლისის ბრძანება № 606

### მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და გათავისუფლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ ქ. თბილისის ოქტომბრის, 26 კომისრისა და გორის რაიონებში, ქ. გორისა და ქ. ცხინვალის განათლების განყოფილებებში

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ქ. თბილისის ოქტომბრის, 26 კომისრისა და გორის რაიონების, ქ. გორისა და ქ. ცხინვალის განათლების განყოფილებებში გაუმჯობესდა მასწავლებელთა აღრიცხვის საქმე. სკოლებში ახლად დანიშნულ მასწავლებელთა უმრავლესობას აქვს უმაღლესი ან საშუალო პედაგოგიური განათლება.

დასახელებული განათლების განყოფილებების მიერ მიღებულია ზომები განათლების აპარატის მუშაკთა სპეციალობის მიხედვით სწორად დაკომპლექტების საქმეში. განყოფილების აპარატში დროულად არიან სამუშაოდ აყვანილი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები, რამაც გააუმჯობესა სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებისადმი დახმარება და კონტროლი.

აღნიშნულის მიუხედავად, მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გათავისუფლების და გადაყვანის საქმეში ჯერ კიდევ გვხვდება ნაკლოვანებები.

განათლების სამინისტროს მითითების მიუხედავად, ერთსა და იმავე სკოლაში ჯერ კიდევ მუშაობენ ერთნაირი საგნის ან ციკლის სპეციალობის მქონე დირექტორი და მისი მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში. ასე მაგალითად: ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის მე-3, მე-4, 23-ე, 26-ე, 30-ე, საღამოს მე-7, 27-ე და პირველ დამხმარე სკოლებში, 26 კომისრის რაიონის 98-ე, 110-ე, 84-ე, 88-ე, 89-ე. 94-ე, 103-ე, მე-12, 21-ე, 25-ე და საღამოს მე-9 საშუალო სკოლებში ქ. გორის მე-6 საშუალო სკოლაში, გორის რაიონის ძევერის, ბერშუეთის, ზუღდულეთის და მერეთის საშუალო,

წითელუბნის, ხერის და ხიდისთავის რვაწლიან სკოლებში, ქ. ცხინვალის საღამოს ორ საშუალო სკოლაში.

კვლავ ადგილი აქვს მცირე საათებზე, არასპეციალობის მიხედვით და შეთავსებით მასწავლებელთა დანიშვნის შემთხვევებს და მასწავლებელთა დანიშვნას აღრიცხვის გარეშე—ასე მაგალითად:

ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე კ. სუჯაშვილი) ე. ქობულაშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი და მუშაობს 89-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკარად, დანიშნა ამავე სკოლაში ისტორიის მასწავლებლად 4 გაკვეთილზე, ხოლო21-ე საღამოს საშუალო სკოლაში ისტორიკოსად—ა. დიღმელაშვილი 2,5 გაკვეთილზე. საქონელმცოდნე ზ. ალადაშვილი, რომელმაც 1973 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილების ისტორიის ფაკულტეტი, აგვისტოში აიყვანა აღრიცხვაზე და 14 სექტემბერს დანიშნა 88-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად, იმ დროს, როცა განათლების განყოფილებას უფრო ადრე აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავდა 12 ისტორიკოსი, მათ შორის ექვსი უნივერსიტეტდამთავრებული; ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტდამთავრებული ე. ჯავახიშვილი დანიშნა № 54 საბავშვო ბაღის აღმზრდელად, 87-ე საბავშვო ბაღის გამგედ დაინიშნა ნ. საბანიძე, რომელსაც პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არ ჰქონია, ის ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე 9 თვეს მუშაობდა აგარაში მუსიკის მასწავლებლად, შემდეგ პროფტექნიკურ სასწავლებელში მექუქნავედ, ბოლოს ადგილობრივი რადიოგადაცემის კორესპონდენტ-ორგანიზატორად.

ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე. ქ. ჭანიშვილი) შ. ხვედელიანი, რომელსაც დამთავრებული აქვს ფიზკულტურის ინსტიტუტი, დანიშნა მე-5 საშუალო სკოლის ხატვის მასწავლებლად 11 გაკვეთილზე, შ. ხვედელიანი წლების მანძილზე მუშაობდა მწვრთნელად და ფიზკულტურის მასწავლებლად; ნ. სარიბეკიანი, რომელსაც დამთავრებული აქვს თბილისის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი, დანიშნულია 34-ე საშუალო სკოლის ხატვის მასწავლებლად, სარიბეკიანი განათლების განყოფილებაში აღრიცხვაზე არ იმყოფებოდა. მ. ცინცაძე 3 გაკვეთილზეა დანიშნული საღამოს მე-6 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად; თ. ომიაძე და ნ. მაღალაშვილი დანიშნული არიან № 5 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელებად—პირველს დამთავრებული აქვს საბიბლიოთეკო სასწავლებელი, მეორეს კი გორის პედინსტი-

ტუტის მათემატიკის ფაკულტეტი; ფრანგული ენის სპეციალისტი ლ. წიქვაძე დანიშნა 91-ე საბავშვო ბაღის რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფის მასწავლებლად. 27-ე საღამოს საშუალო სკოლაში 8 გაკვეთილზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაინიშნა მ. სვანიძე იმ დროს, როცა იქ მუშაობს დაუტვირთავი ქართული ენის მასწავლებელი.

გორის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ა. ჩხეიძე) ცხინვალის პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების რუსული ენის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი თ. გაგლოევი დროებით დანიშნა საყავრის რვაწლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებლად, შემდეგ კი იგი გადაიყვანა იმავე სკოლის სასკოლო ინტერნატის აღმზრდელად; გ. პეტრიაშვილი სპეციალობით ბიოლოგი დანიშნა ტინისხიდის საბავშვო ბაღის აღმზრდელად; ლ. ხაბაზიშვილი, რომელსაც მოსმენილი აქვს გორის პედინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტის სრული კურსი — დანიშნულია ტყვიავის საბავშვო ბაღის აღმზრდელად; შ. ზოზირაევი, რომელსაც დამთავრებული აქვს ცხინვალის პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, დანიშნა ნიქოზის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში რუსული ენის მასწავლებლად.

ქ. გორის განათლების განყოფილებამ (გამგე ვ. ზექალაშვილი) გორის მე-3 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი ე. აბულაძე დანიშნა ამავე სკოლის ქართული ენის მასწავლებლად 4 გაკვეთილზე, ხოლო მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული მ. გოგოლაშვილი—მე-3 საბავშვო ბაღის აღმზრდელად.

ქ. ცხინვალის განათლების განყოფილებამ (გამგე ვ. გალავანოვი) ლ. ჩლაჩიძე დანიშნა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებლად ფიზიკის 3 ფაკულტატიურ გაკვეთილზე; მე-9 საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლად კი უდიპლომო ლ. ძაგოევა იმ დროს, როცა დაუნიშნავი ჰყავდა 10-ზე მეტი ინგლისური ენის სპეციალისტი.

პედაგოგიური სტაჟის არმქონე ლ. ი. გაგიევა, რომელსაც დამთავრებული აქვს ცხინვალის პედინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტის საღამოს განყოფილება, დანიშნა № 2 და № 4 ბაგა-ბაღების მეთოდისტად, ამჟამად გაგიევა გადაყვანილია ქალაქის განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტად; ფიზიკა-მათემატიკის სპეციალისტი ვ. თედეევა დანიშნა № 2 საბავშვო ბაღის აღმზრდელად; ცხინვალის № 4 საშუალო სკოლის ორგანიზატორად კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დანიშნეს პენსიონერი ვ. კასრაძე, ა. ბაგაევი 4 გაკვეთილზეა დანიშნუ-

ლი მე-9 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად; ხოლო ცხინვალის № 2 საშუალო სკოლის ლაბორანტი ლ. ხარებოვა—იმავე სკოლის ფიზიკის მასწავლებლად, როცა იქ მომუშავე მასწავლებლები არ არიან გაკვეთილებით დატვირთული.

მცირე საათებზე მასწავლებელთა დანიშვნის შემთხვევებს აგრეთვე ადგილი აქვს საშუალო სკოლებთან არსებულ მუსიკალურ ჯგუფებში, ასე მაგალითად:

ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილების მიერ ა. მასუნჯიანი დანიშნულია 38-ე საშუალო სკოლის ფორტეპიანოს კლასის მსწავლებლად 4 გაკვეთილზე, 26 კომისრის რაიონში—მ. მაისაშვილი 110-ე საშუალო სკოლის მუსიკის მასწავლებლად 4 გაკვეთილზე . ქ. გორის პირველი საშუალო სკოლის მუსიკალური ჯგუფის ფორტეპიანოს კლასის მასწავლებლად—ნ. დედაბრიშვილი, იმ დროს როცა დასახელებული სკოლების მომუშავე მუსიკის მასწავლებლები გაკვეთილებით არ არიან დატვირთულნი.

ალრიცხვის გარეშე მასწავლებლეთა დანიშვნის შემთხვევებს ადგილი აქვს თითქმის ყველა შემოწმებული რაიონის და ქალაქის განათლების განყოფილებაში — ისე მაგალითად: 26 კომისრის რაიონში ალრიცხვის გარეშე დანიშნულები არიან: ე. ქანთარია 89-ე, ვ. გაგუა 79-ე, ლ. ნემცოვა საღამოს მე-9, მ. ქარსელაძე 87-ე საშუალო სკოლაში. ოქტომბრის რაიონში: ე. სარქისოვა, ე. ობოლაშვილი—საღამოს მე-6, ს. კაზაროვა— მე-3, ტ. გელაშვილი—38-ე საშუალო სკოლაში. ქ. გორში: მ. თედელაური—საღამოს 1-ელ საშუალო სკოლაში და დ. მუზაშვილი— № საბავშვო ბაღში. ქ. ცხინვალში, რ. სანაკოევა მე-9 საშუალო, ც. ჩეხოვა მე-6 საშუალო—დ. ბესტაევა მე-9 საშუალო სკოლებში, ლ. გაგიევა მე-2 და მე-4 ბაგა—-ბაღში უმაღლეს—დაუმთავრებელი მ. თედეევა— მეთოდკაბინეტის ბიბლიოთეკრად, როცა ადგილზე ჰყავდა 47 ფილოლოგი უმაღლესი განათლებით.

გამოვლინებულია შემთხვევები, როცა მთელ საშტატო ერთეულზე მომუშავე პირები მცირე საათებზე ინიშნებიან მასწავლებლებად იქ, სადაც ამის აუცილებლობა არ არის.—მაგალითად:

26 კომისრის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ფანცულაია დაინიშნა 87-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად, როცა იქვე მომუშავე ფიზკულტურის მასწავლებელს ლომიძეს აქვს მხოლოდ 8 გაკვეთილი. ამ სკოლაში ფიზკულტურის მეორე მასწავლებელს მ. კაკაურიძეს აქვს 32 გაკვეთილი და 0,5 სექციური მუშაობის განაკვეთი. შ. სამსონია,

რომელიც მუშაობს 77-ე საშუალო სკოლის საქმეთამმართველად, ამავე სკოლაში დანიშნეს ქიმიის მასწავლებლად 4 გაკვეთილზე, სამ-სონიას დანიშვნის დროისათვის რაიონის განათლების განყოფილების [illegible] აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავდა 16 ქიმიკოსი.

ოქტომბრის რაიონში კომკავშირის კომიტეტის რაიკომის მუშაკი ვ. ჩიფჩიური დანიშნულია 106-ე საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლად 4 გაკვეთილზე; მე-80 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში ვ. გრიგორიანი—ამავე სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებლად 4 გაკვეთილზე, 31-ე საშუალო სკოლის საქმის მწარმოებელი ი. გელენიძე—ამავე სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლად 4 გაკვეთილზე. 1974 წლის 1 თებერვალს განათლების განყოფილებამ საღამოს 27-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად დანიშნა ლ. ლომიძე, 2 თებერვალს კი გააუქმა ლომიძის დანიშვნის ბრძანება და სამუშაოზე აღადგინა ა. ჭანტურიძე (2,5 გაკვეთილზე), რომელიც ძირითადად მუშაობს ოქტომბრის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორად.

ქ. გორის განათლების განყოფილების მიერ ქ. გორის პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი ვ. ეჯოშვილი დანიშნულია მე-13 საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლად 5,5 გაკვეთილზე, ხოლო ვ. ადლიაშვილი— რუსული ენის მასწავლებლად 5 გაკვეთილზე.

დარღვევებს ადგილი აქვს აგრეთვე მასწავლებელთა ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადაყვანისა და გათავისუფლების საქმეშიც — ქ. გორის საღამოს მე-2 საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი დ. მელიქიშვილი გადაყვანილია 6 გაკვეთილზე მე-2 საშუალო სკოლაში, სადაც მუშაობენ დაუტვირთავი მასწავლებლები, თბილისის ლენინის რაიონის 138-ე საშუალო სკოლის მუსიკალური ჯგუფების მასწავლებელი ნ. ჩერქეზიშვილი გადაყვანილია მე-6 საშუალო სკოლის მუსიკალური ჯგუფის მასწავლებლად, სადაც 22 მასწავლებლიდან 13 აქვს 2-დან 12 გაკვეთილამდე დატვირთვა, მათგან სამი მასწავლებელი (ლევინი, მიგუაშვილი, ნარიმელაშვილი) მუშაობს ორ-ორ გაკვეთილზე.

31-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა სეფიაშვილმა განცხადებით მიმართა ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილებას, მოითხოვა გათავისუფლება და იმავე დღიდან არ გამოცხადდა სამუშაოდ. განათლების განყოფილებამ იგი გაათავისუფლა არა როგორც სამუშაო დროის უმიზეზოდ გამცდენი, არამედ პირადი განცხადების თანახმად, რადგან განცხადების შეტანის დღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ორი კვირა არ იყო გასულ, სეფიაშვილი (რომელმაც გა-დაიფიქრა გათავისუფლება) გასაჩივრების შედეგად აღდგენილ[illegible] სამუშაოზე.

არის შემთხვევები; როცა მასწავლებელს განათლების განყოფილებაში არა აქვთ პირდი საქმეები. აღნიშნული მდგომარეობა განსაკუთრებით ხშირია მუსიკალური ჯგუფებსა ქ. გორის 1-ელ, მე-9 ნულ მასწავლებელთა შორის. ასე მაგალითად; ქ. გორის 1-ელ, მე-9 და მე-13 საშუალო სკოლების მუსიკალური ჯგუფების მასწავლებლებს განათლების განყოფილებაში არა აქვთ პირადი საქმეები, არა აქვთ პირდი საქმეები აგრეთვე მე-3 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლებს ა. კეკელიას, ს. ქიტოშვილს, მე-7 საბავშვო ბაღის აღმზრდელებს: ს. კარაზოვას, ლ. ტობესაშვილს, ნ. ხინჩიგაშვილს შ. იოსებიძეს, ი. ორჯონიკიძეს, ლ. შაპოვალოვას, ე. ხეჩუაშვილსა და სხვებს.

ქ. ცხინვალში ბევრ მასწავლებელს პირად საქმეში არა აქვს ისეთი ძირითადი დოკუმენტები, როგორიცაა პირადი ბარათი — ფორმა № ტ—2, ან თუ აქვს, არასწორად შევსებული. არის შემთხვევები, როცა მასწავლებლებს პირად საქმეებში არა აქვთ მასწავლებლად დანიშვნის ბრძანების ამონაწერი და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი. მოუწესრიგებელია სამუშაოზე მოსაწყობ მასწავლებელთა აღრიცხვის საქმე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს რაიონებისა და ქალქების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) მასწავლებელთა დანიშვნის, გადაყვანისა და გათავისუფლების დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 16 ივლისის ინსტრუქციით მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ;

ბ) სკოლის დირექტორებად, დირექტორის მოადგილეებად სასწავლო—სააღმზრდელო მუშაობის დარგში და ორგანიზატორებად კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში შეარჩიონ და დანიშნონ სხვადასხვა სპეციალობის, სათანადო გამოცდილებისა და სტაჟის მქონე მოწინავე მასწავლებლები;

გ) მასწავლებელთა ატესტაციის მომზადებულად შესახვედრად, ორი თვის განმავლობაში წესრიგში მოიყვანონ მასწავლებელთა შრომის წიგნაკები, პირადი ბარათები და პირადი საქმეები როგორც სკოლაში, ისე განათლების განყოფილებაში;

დ) არ დაუშვან მასწავლებელთა სამუშაოდან დათხოვნა სკოლის ადგილკომის დადგენილების გარეშე;

ე) არ დაუშვან მცირე რაოდენობის გაკვეთილებზე მასწავლებელთა დანიშვნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის განათლების განყოფილებებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

2. დაევალოთ ქ. თბილისის ოქტომბრის, 26 კომისრის, გორის რაიონის, ქ. გორისა და ქ. ცხინვალის განათლების განყოფილებათა გამგეებს (ამხ. ამხ. ქ. ჭანიშვილი, კ. სუჯაშვილი, ა. ჩხეიძე, ვ. ზექალაშვილი, ვ. გალავანოვი) მომავალში არ დაუშვან მსგავსი დარღვევები. მათვე დაევალოთ:

ა) არსებული წესის დაცვით შეცვალონ მათ მიერ დანიშნული შეუფერებელი განათლების მქონე მასწავლებლები შესაფერი სპეციალური განათლებისა და გამოცდილების მქონე მუშაკებით;

ბ) ამ ბრძანების შესრულების შესახებ წერილობითი ანგარიში წარმოადგინონ განათლების სამინისტროში 1974 წლის 15 სექტემბრამდე.

3. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (გამგე თ. ეგაძე) 1974 წლის მესამე კვარტალში შეამოწმოს მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანის, დათხოვნის მდგომარეობა ქალაქის სამ რაიონში, განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და შედეგები მოახსენოს სამინისტროს.

4. მასწავლებელთა დანიშვნის, გადაყვანის, დათხოვნის საქმეში დაშვებული უხეში დარღვევებისათვის ქ. თბილისის 26 კომისრისა და ოქტომბრის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს კ. სუჯაშვილს, ქ. ჭინიშვილს გამოეცხადოთ საყვედური, ხოლო ქ. გორის და ქ. ცხინვალის განათლების განყოფილების გამგეებს ვ. ს. ზექალაშვილს და ვ. ი. გალავანოვს მიეთითოთ.

5. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე):

ა) დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე;

ბ) პერიოდულად შეამოწმოს მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის მდგომარეობა რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ქალაქებში;

გ) საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების სამმართველოსა და სკოლამდელი აღზრდის განყოფილებასთან ერთად, 1974 წლის მესამე კვარტალში შეამოწმოს მასწავლებელთა დანიშვნის,

გადაყვანისა და დათხოვნის მდგომარეობა განათლების სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში და ბაგა-ბაღებში და შედეგები მომახსენოს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 18 ივლისის დადგენილება.

მინისტრი                    თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 22 ივლისის ბრძანება № 607

### 1973 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე გამოცხადების შედეგებისა და 1974 წელს კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების შესახებ

გავეცანი რა 1973 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემულ, სამუშაოზე განაწილებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ სახელმწიფო პედაგოგიური და ფიზკულტურის ინსტიტუტების, აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ რესპუბლიკების პედინსტიტუტების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე გამოცხადების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ 1474 ახალგაზრდა სპეციალისტიდან სკოლებში სამუშაოდ არ გამოცხადდა 134 კაცი (9.1%); მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 61 (26.7%), თბილისის უცხო ენების ინსტიტუტიდან — 11 (12%)), ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტიდან — 11 (9.5%), ქუთაისის პედინსტიტუტიდან —14— (8,1%),) სოხუმის პედინსტიტუტიდან—9 (4.5%) და ა. შ.

1974 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემულ ზემოთ დასახელებულ უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების საქმეში ადგილებზე მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგემ და რიგი რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებების წარმომადგენლებმა. დღეისათვის სამუშაოზე განაწილებულია 1500-მდე უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა: ა) სასწავლო წლის დაწყებამდე მოაწყონ დამწყებ მასწავ-

ლებლებთან ორგანიზებული შეხვედრა, გააცნონ მათ სკოლისა და მასწავლებლების წინაშე მდგარი უახლოესი ამოცანები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დამწყებ მასავლებლებს გააცნონ სსრ კავშირის განათლების მინისტრის ამხ. მ. პროკოფიევის 1974 წლის 27 მარტის წერილის შინაარსი უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა სტაჟირების შესახებ და პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა სტაჟირების პროგრამა;

გ) გააცნონ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1974 წლის 13 მაისის № 150 ბრძანების შინაარსი და დებულება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ;

დ) დამწყებ მასწავლებლებს გააცნონ სკკპ ცენტრალური კომიტეისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილება № 47 და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 5 ნოემბრის ბრძანება № 767 — სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ;

ე) დამწყები მასწავლებლებისათვის პედაგოგიურ-მეთოდური და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე საჭირო დახმარების გასაწევად ფართოდ გამოიყენონ განათლების განყოფილებისა და მეთოდკაბინეტის მუშაკები, დახელოვნებული მასწავლებლები;

ვ) უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტების დროულად გამგზავრება სამუშაო ადგილზე;

ზ) დამწყები მასწავლებლები უზრუნველყონ ნორმალური პედაგოგიური დატვირთვით, ხოლო სოფლად მივლინებულნი — უფასო კომუნალური მომსახურებით (ბინით, განათებითა და გათბობით);

თ) დაწყებით და სკოლამდელ დაწესებულებებში პირველ რიგში დანიშნონ მათ განკარგულებაში მივლინებული უმაღლესი განათლების მქონე დაწყებითი განათლებისა და სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტების კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტები;

ი) კატეგორიულად აღკვეთონ ახალგაზრდა სპეციალისტების შესახებ მომართვებისა და შუამდგომლობის ხელზე გაცემა;

კ) რადგანაც 10 თვიანი სტაჟირება სავალდებულოა 1974 წელს პედინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის დაუსწრებელი, საღამოს განყოფილებისა და იმ კურსდამთავრებულთათვისაც, ვისაც მიეცა სამუშაოზე დამოუკიდებლად მოწყობის უფლება (ხელზე აქვთ ფორმა № 3), არ მიიღონ ისინი სამუშაოზე საქართველოს სსრ განათლე-

ბის სამინისტროს, შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებასთან წინასწარ შეთანხმების გარეშე.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) 1974 წლის 15 სექტემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურების მიღების შესახებ დასტური და წერილობითი ანგარიში, თითოეულ ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ, თანდართული № 1 დანართის მიხედვით; მასვე დაურთონ წერილობითი ინფორმაცია დამწყებ მასწავლებლებთან ჩატარებული მუშაობის შესახებ;

ბ) 1974 წლის 10 სექტემბრამდე გადაუგზავნონ უნივერსიტეტებისა და ცალკეული ინსტიტუტების რექტორებს სიები (დანართი № 2) თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ, სიებს აუცილებლად დაურთონ სამუშაოზე გამოცხადებულ ახალგაზრდა სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი საგზურის მონახევი-დასტური;

გ) საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს და შესაბამისად მის ფილიალებს გადაუგზავნონ იმ ახალკურსდამთავრებულების სიები (დანართი № 3), რომელთაც უნდა გაიარონ 10 თვიანი სტაჟირება;

დ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებიდან სამი წლის გასვლამდე არ მიიღონ სამუშაოზე ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელსაც არ ექნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზური, ან უმაღლესი სასწავლებლის რექტორის ცნობა (ფორმა № 3) იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს მიღებული აქვს სამუშაოზე დამოუკიდებლად მოწყობის უფლება;

ე) ახალგაზრდა სპეციალისტი, როგორც წესი, ვალდებულია ადგილზე იმუშაოს არანაკლებ სამი წლისა, მაგრამ თუ მისი სამუშაოდან გათავისუფლების სხვადასხვა მიზეზების გამო (გათხოვება, დაინვალიდება, დანაშაულის ჩადენა და სხვა) სამ წელზე ადრე მოხდა, აუცილებელია სამუშაოდან გათავისუფლების საკითხი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან წინასწარ შეთანხმებით, შემდეგ განიხილონ და გადაწყვიტონ ახალგაზრდა სპეციალისტის მიერ მიღებული გადასახდელი ხარჯების დაბრუნების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ეთხოვოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტებისა და საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორებს, მიიღონ საჭირო ზომები, რათა 1974 წელს სამუშაოზე განაწილებული ახალგაზრდა სპეციალისტები დროულად გაემგზავრონ დანიშნულ ადგილზე.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა, განათლების განყოფილებებიდან სამუშაოზე გამოცხადებულ ახალ კურსდამთავრებულთა სიების მიღებისთანავე, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პედინსტიტუტის კურსდამთავრებულთა სტაჟირების პროგრამის საფუძველზე დასახოს ღონისძიებანი.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძემ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები მომახსენოს პერიოდულად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 18 ივლისის დადგენილება.

მინისტრი — თ. ლაშქარაშვილი

დანართი № 1

# ს ი ა

უმაღლესი სასწავლებლის იმ ახალგაზრდა სპეციალისტებისა, რომელნიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1974 წელს განაწილებული (დანიშნულია, მივლინებული) სამუშაოზე ________ რაიონის (ან ქალაქის) სკოლებში

| №№ რიგზე | ახალგაზრდა სპეციალისტის გვარი, სახელი, და მამის სახელი | რომელი სასწავლებელი დაამთავრა | საგზურის № | რომელ სკოლაში დაინიშნულია | რა თანამდებობაზე და რა საგნის მასწავლებლად დაინიშნულია | გამოცხადდა თუ არა განათლების განყოფილებაში | გამოცხადდა თუ არა მიმართვით დანიშნულ სკოლაში | შეუდგა თუ არა სკოლაში მუშაობას | თუ არ შეუდგა მუშაობას, რა მიზეზით? | რა ბინა გამოეყო | უზრუნველყოფილია თუ არა ბინით | უზრუნველყოფილია თუ არა [illegible] და [illegible] | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 3 | 14 |

დანართი: ________ ცალი საგზურის მონახევი—დასტური

პ. ა. განათლების განყოფილების გამგე ხელის მოწერა

შენიშვნა: ა) [illegible] უკლებლივ უნდა შეივსოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებით დანიშნული ან მივლინებული ყველა ახალგაზრდა სპეციალისტი.

დანართი № 2

# ს ი ა

______________ იმ ახალგაზრდა სპეციალისტებისა რომელნიც საქართველოს
უმაღლესი სასწავლებლის დასახელება

სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1974 წელს განაწილებულია (დანიშნული, მივლინებული) არიან სამუშაოზე ______ რაიონის (ქალაქის) სკოლაში

| №№ რიგზე | ახალგაზრდა სპეციალისტის გვარი, სახელი, და მამის სახელი | სამუშაოზე დანიშვნის (მივლინების) ბრძანების № | გამოცხადდა თუ არა, განაწილებისამებრ განყოფილებაში | რომელ სკოლაში, რა თანამდებობაზე და რა საგნის მასწავლებლად დაინიშნა | რომელი გამოცდილი მიეცა | შეუდგა თუ არა მუშაობას | თუ არ შეუდგა მუშაობას, რატომ? | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |

დანართი ______ ცალი საგზურის მონახევი — დასტური

ბ. ა.

განათლების განყოფილების გამგე ______ ხელის მოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 8

(იგზავნება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში)

# ს ი ა

1974 წელს უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების იმ კურსდამთავრებულებისა (დასწრებული, დაუსწრებელი და საღამოს განყოფილება), რომლებიც 1974 წელს იწყებენ პედაგოგიურ მუშაობას ________ რაიონში ან ქალაქში და გაივლიან ათთვიან სტაჟირებას

| №№ რიგზე | ახალკურსდამთავრებულების გვარი, სახელი და მამის სახელი | რომელი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა | რომელი განყოფილება (დასწრებული, დაუსწრებელი და საღამო) დაამთავრა | რომელ სკოლაში (ან დაწესებულებაში) დაიწყო მუშაობა | რა თანამდებობაზე და რა საგნის მასწავლებლად დაინიშნა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|

ბ. ა.

განათლების განყოფილების გამგის ხელის მოწერა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 24 ივლისის ბრძანება № 617

### საზაფხულო არდადეგების დროს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებსა და მშენებლობებზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი მონაწილეობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ მშენებლობასა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში საზაფხულო არდადეგების პერიოდში რესპუბლიკის სტუდენტთა და უფროსკლასელების მასობრივი მონაწილეობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 6 თებერვლის დადგენილების შესასრულებლად.

1973 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობას ღებულობდა 3185 ბრიგადა, 6590 რგოლი, რომლებშიც გაერთიანებული იყო 102,000 უფროსკლასელი მოსწავლე, მოსწავლეების მიერ მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 9125 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შესრულდა ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, ენერგიული შრომა იყო გაჩაღებული სარემონტო ობიექტებზე.

1973 სამეურნეო წლის შედეგებმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საწარმოო ბრიგადები, სასკოლო რაზმები, შრომისა და დასვენების ბანაკები არის ჩვენი ახალგაზრდობის შრომითი სწავლების ძირითადი ფორმა და სავსებით პასუხობს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის სადღეისო ამოცანებს. აქ მოსწავლეები ეცნობიან წარმოების ორგანიზაციას, მისი მუშაობის შინაარსს, შრომის ნაყოფიერების ზრდის უახლოეს მონაპოვარს, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებებს; ასრულებენ მათზე მიცემულ დავალებებს და გარკვეული წვლილი შეაქვთ სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების საქმეში.

მეხუთე შრომით მეოთხედში ნაყოფიერი მუშაობისათვის მთავ-

რობის მაღალი ჯილდო, მედლები „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ დაიმსახურა ოთხმა მოსწავლემ; ამასთან, მრავალი მოსწავლე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით.

მშენებლობებსა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში უფროსკლასელ მოსწავლეთა საქმიანობა გრძელდება. მიმდინარე სამეურნეო წლის შრომითი ბრიგადების მუშაობა უფრო ორგანიზებულად დაიწყო: კარგადაა შერჩეული ბრიგადების, რაზმებისა და შრომისა და დასვენების ბანაკების ხელმძღვანელები, პედაგოგ-აღმზრდელები. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სამუშაო უბნების შერჩევისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, დროულად მოგვარდა შრომისა და დასვენების ბანაკების შესანახად საჭირო სახსრების გამოყოფის საქმე და სხვ. მაგ. მოწესრიგებულია უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომისა და დასვენების ყველა უბანი ხობის რაიონის ხიბულისა და მახარაძის რაიონის ხიდისთავის მეურნეობების შრომისა და დასვენების ბანკებში.

დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობს შრომისა და დასვენების 54 ბანაკი, 5476 მოსწავლით. აქედან სადღეღამისო ბანაკშია 3230 მოსწავლე, რომელიც შრომით საქმიანობას ეწევა 29 საბჭოთა მეურნეობასა და 3 კოლმეურნეობაში; ამასთან, 8 საბჭოთა მეურნეობაში, 5 კოლმეურნეობასა და 6 ქარხანაში დასაქმებულია 2246 მოსწავლე, ისინი მეურნეობებსა და წარმოებებში საცხოვრებელი ბინებიდან დადიან და მუშაობენ. ბანაკების დიდი უმრავლესობისათვის შექმნილია კულტურული დასვენებისა და ნაყოფიერი შრომის ნორმალური პირობები. შრომისა და დასვენების ბანაკებთან ერთად მოსწავლეთა მუდმივმოქმედ საწარმოო ბრიგადებში და სასკოლო რაზმებში მეხუთე შრომით მეოთხედში მუშაობს აგრეთვე 140 000-მდე მოსწავლე, ისინი საცხოვრებელი ადგილის მიკრორაიონში, სანიმუშო დებულების მიხედვით, ეწევიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

მიუხედავად აღნიშნულისა, შრომისა და დასვენების ბანაკების მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებისა და სასკოლო შრომითი რაზმების მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

ზაფხულის არდადეგების პერიოდში მოსწავლეების შრომითი მეოთხედის ორგანიზებულად ჩატარებისათვის არადამაკმაყოფილებლად მოემზადნენ ამბროლაურის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, ქარელის, ყვარლის, მახარაძის, საგარეჯოს, თელავის,

თერჯოლის, ხაშურის, გაგრის, ცხინვალის, ლანჩხუთისა და ზნაურის განათლების განყოფილებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუმზადებლად, წინასწარი შემოწმების გარეშე, შეუფერებელ ბინებში დაიწყო მუშაობა თელავის რაიონის წინანდლის საბჭოთა მეურნეობის შრომისა და დასვენების ბანაკმა. აქ მოსწავლეების საცხოვრებელი ოთახები ბანაკის მიღების დღეებში არ იყო განთავისუფლებული, შენობას ტექნიკუმი იყენებდა თავის ღონისძიებათა ჩასატარებლად. ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის კოლმეურნეობაში მომუშავე ბანაკი სკოლის შენობაშია მოთავსებული, ბანაკის საძინებელ ოთახებსა და აივნებში ძალზე უწესრიგობა და უსუფთაობაა, რამდენიმე დღის განმავლობაში ამ სათავსოების დაგვაზეც კი არავის უფიქრია. დაცული არ არის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ქვების ბლოკი მოუწესრიგებელია და საკვების მიღების, შენახვისა და დამუშავების წესები დარღვეულია, სიღნაღის რაიონის ხირსის, გარდაბნის რაიონის ლილოს, თელავის რაიონის ნაფარეულის, წინანდლის, მარნეულის რაიონის შაუმიანის, გურჯაანის რაიონის კოლაგის მეურნეობების შრომისა და დასვენების ბანაკებში.

თეთრეული ცუდად ირეცხება და მოსწავლეების ერთ ნაწილს იგი სრულიად არა ქვს ცხინვალისა და თელავის რაიონის წინანდლის მეურნეობის ბანაკებში, მარნეულის რაიონის შაუმიანის საბჭოთა მეურნეობის შრომისა და დასვენების ბანაკები უზრუნველყოფილი არ არის სასმელი და სამეურნეო წყლით, საცხოვრებელ და საძინებელ ოთახებში უწესრიგობაა, ამასთან, დასავენებელი და მასობრივი მუშაობისათვის გამოყოფილი სათავსოები უზრუნველყოფილი არ არის საჭირო ინვენტარით სიღნაღის რაიონის ხირსისა და თელავის რაიონის წინანდლის მეურნეობების ბანაკებში. მშობლების მიერ საძინებელ ოთახებში მიტანილი პროდუქტების გაფუჭების გამო ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა გარდაბნის რაიონის ლილოს მეურნეობის შრომისა და დასვენების ბანაკი. თელავის რაიონის წინანდლის საბჭოთა მეურნეობასთან არსებული ბანაკი ცუდად მარაგდება ახალი ცოცხით, რძით, კარტოფილით, ბოსტნეულითა და ხილით.

არ ითვისებენ თითოეული ბავშვის კვებისათვის გამოყოფილ თანხას ოჩამჩირის რაიონის მოქვისა და მახარაძის რაიონის ნასაკირალის მეურნეობების ბანაკებში. ისინი ყოველდღიურად თითოეულ ბავშვზე, ნაცვლად 1 მანეთი და 73 კაპიკისა, კვებისათვის ხარჯავენ 1 მანეთსა და 30 კაპიკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომისა და დასვენების ზოგიერთი ბანაკის ხელმძღვანელობა არ ასრულებს კონტინგენტის გეგმას; მაგალითად, თელავის რაიონის წინანდლის საბჭოთა მეურნეობასთან არსებულ ბანაკში, ნაცვლად 100 მოსწავლისა, ირიცხება 89 მოსწავლე. ზოგან კი შრომისა და დასვენების ბანაკებს ქმნიან ყოველგვარი გეგმისა და დავალების გარეშე; ასე მაგალითად, ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს ბანაკი 150 მოსწავლით, რომელიც არ არის დაფინანსებული.

არადამაკმაყოფილებელია რაიონების განყოფილებების მზრუნველობა და ყურადღება შრომისა და დასვენების იმ ბანაკების მოსწავლეების მიმართ, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად ქალაქებიდან სოფლებში გაემგზავრნენ. ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილების გამგისათვის ცნობილიც კი არ იყო მის რაიონში ქალაქიდან ჩამოსული შრომისა და დასვენების ბანაკის მუშაობა.

განათლების განყოფილებების მიერ იშვიათად მოწმდება მთელი წლის განმავლობაში მომუშავე მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებისა და შრომითი რაზმების მუშაობა. თითქმის არც ერთი ბრიგადის, რაზმისა და დასვენების ბანაკის მოსწავლე მეურნეობიდან არ სარგებლობს სასოფლო-სამეურნეო იარაღით, რომელიც მათ ასაკსა და ფიზიკურ განვითარებას შეეფერება. იშვიათად მარაგდებიან მოსწავლეები სპეციალური ტანსაცმლითა და ქუდებით.

მოუწესრიგებელია შრომითი კოლექტივების სამუშაო დღის ნორმებისა და ვალდებულებების განსაზღვრის საქმე. საამისოდ არ არსებობს ყველა მეურნეობაში დაახლოებით ერთნაირი ნორმები და ანაზღაურების საერთო წესი.

ბანაკებში, რაზმებსა და ბრიგადებში სოციალისტური შეჯიბრება ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან სათანადო დოკუმენტებში არ ჩანს ვალდებულებები, არ მოწმდება შეჯიბრების შედეგები.

ზოგიერთ შრომით კოლექტივში არადამაკმაყოფილებელია საგიტაციო—პროპაგანდისტული მუშაობა, იშვიათია პოლიტინფორმაციები, კვალიფიციური ლექციები და მოხსენებები თემებზე: „პროფტექნიკური განათლება და მუშათა კლასი“, „შრომითი ორგანიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია“, „მედიცინა და ჰიგიენა“, „სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმები“ და სხვ. შრომისა და დასვენების ბანაკების ნაწილი უზრუნველყოფილი არ არის ტელევიზორით, რადიოთი და ახალი ჟურნალ-გაზეთებით.

იშვიათად ტარდება მასობრივი ღონისძიებები და მოწინავეებთან შეხვედრები, ბრიგადებსა და ბანაკებში იშვიათია სჯა-ბაასი და პაექრობა პროფტექნიკური განათლების, პროფორიენტაციისა და შრომითი აღზრდის საკითხებზე.

ეროვნული

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დაუყოვნებლივ შეამოწმონ უფროსკლასელ მოსწავლეთა კოლექტივების შრომისა და დასვენების ბანკების, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებისა და შრომითი რაზმების მუშაობა, შედეგები განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

ბ) ა/წლის 10 სექტემბრამდე შეაჯამონ შრომისა და დასვენების ბანკების მუშაობა, ანგარიში მოწინავე ბანაკების, რაზმების, მოსწავლეებისა და მათი ხელმძღვანელების მუშაობის შესახებ განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ 1974 წლის 25 სექტემბრამდე;

გ) მიმდინარე სამეურნეო წლის დამთავრებამდე სისტემატურად გააკონტროლონ და 1975 წლის 10 იანვრამდე განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ ანგარიში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებისა და შრომითი რაზმების მუშაობის შესახებ;

დ) შეამოწმონ შრომისა და დასვენების ბანაკების დაფინანსება, საბოლოო ანგარიშსწორება და უზრუნველყონ მოსწავლეებზე კუთვნილი ხელფასის დროულად გაცემა;

ე) რაიონების განათლების განყოფილებებმა სათანადო ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინონ შრომისა და დასვენების ბანაკებში მომუშავე ქალაქის სკოლების ბავშვებისადმი; საქმიანი კავშირი დაამყარონ შესაბამისი ქალაქის განათლების განყოფილებებთან;

ვ) დააყენონ საკითხი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონული ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე მოსწავლეების სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფის შესახებ;

ზ) იზრუნონ ბანაკებისა და ბრიგადების შრომითი კოლექტივების კულტურული დასვენებისა და მასობრივი ღონისძიებების ორგანიზებულად ჩატარებისთვის, ამ საქმის უკეთ მოგვარების მიზნით კავშირი დაამყარონ რაისაბჭოს კულტურის განყოფილებასთან;

2. გაფრთხილებულ იქნენ განათლების განყოფილებეთა გამგეები, თუ ისინი მოსწავლეთა ბრიგადების, შრომისა და დასვენების ბანაკებისა და რაზმების მუშაობისადმი არ გააუმჯობესებენ ხელმძღვანელობას, დახმარებასა და კონტროლს, დაისჯებიან მკაცრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს, მოსწავლეთა შრომითი კოლექტივების — შრომისა და დასვენების ბანაკების, საწარმოო ბრიგადებისა და რაზმების მოსწავლეთა შრომის ნორმირებისა და ანაზღაურების ამჟამად დადგენილი წესის შესახებ სათანადო განმარტება მისცენ როგორც მეურნეობებს, ისე სკოლებს.

4. სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ი. ბალავაძემ) ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურთან (ამხ. გ. თავაძე) ერთად მოამზადოს სათანადო მეთოდური წერილი მოსწავლეთა შრომითი კოლექტივების მუშაობის ორგანიზაციისა და შინაარსის შესახებ და განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს 1974 წლის 15 დეკემბრამდე.

5. ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა (ამხ. გ. თავაძემ) ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სოფლის მეურნეობისა და მხარეთმცოდნეობის განყოფილებებთან ერთად მოამზადოს და განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს წინადადება მოსწავლეთა შრომითი კოლექტივების მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შესახებ.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) მიმდინარე წლის 10 ოქტომბრამდე შეაჯამოს ზაფხულის არდადეგების პერიოდში უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი საქმიანობის შედეგები და წარმოადგინოს იგი კოლეგიაზე განსახილველად;

ბ) 1975 წლის 20 იანვრამდე ანალიზი გაუკეთოს 1974 წელს მოსწავლეთა შრომითი კოლექტივების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებს და 1-ელ თებერვლამდე წარმომიდგინოს განსახილველად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 18ივლისის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 24 ივლისის ბრძანება № 718

## ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ

ვაქვეყნებ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 7 მარტის № 9/2 გადაწყვეტილებას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ“

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება

ქ. მოსკოვი, № 9,2, 1974 წლის 7 მარტი

განიხილა რა წარმოდგენილი მასალები, კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში სახალხო განათლების ორგანოების მიერ გარკვეული მუშაობა ჩატარდა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ“ 1961 წლის 27 მაისის № 468 დადგენილების შესასრულებლად.

რიგ რესპუბლიკებში უცხოურ ენებში შეიქმნა და ხმარებაში შემოდის ახალი სახელმძღვანელოები და მეთოდური ლიტერატურა. უკანასკნელ წლებში მოკავშირე რესპუბლიკების სასწავლო-პედაგოგიურ გამომცემლობათა მიერ გამოშვებულია მოსწავლეთათვის კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა.

დაწყებული 1967 წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VII— X (XI) კლასებში შემოღებულ იქნა ფაკულტატიური მეცადინეობა უცხოურ ენებში. ფაკულტატიური კურსისათვის დამუშავდა პროგრამების სხვადასხვა ვარიანტი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასწავლო პროცესის ტექნიკური აღჭურვილობა. გაიზარდა სკოლათა რაოდენობა, რომელშიც მოწყობილია ლინგაფონური კაბინეტები.

675. სკოლაში შემოღებულია ზოგიერთი საგნის უცხოურ ენაზე სწავლება.

გაუმჯობესდა უცხოური ენების მასწავლებელთა ხარისხობრივი შემადგენლობა.

ამასთან ერთად, უცხოური ენის სწავლებაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს: სკოლების დიდ უმრავლესობაში ვერ მოხერხდა მოსწავლეთა მიერ შესასწავლი უცხოური ენის ყოველმხრივი პრაქტიკული დაუფლების უზრუნველყოფა.

კითხვისა და ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევების გამომუშავება ჯერ კიდევ არაიშვიათად ხორციელდება პრიმიტიულ ენობრივ მასალაზე, ვიწრო ლექსიკური მასალის გამოყენებით. რიგ სკოლებში (უფროს კლასებშიც კი) უცხოური ენის გაკვეთილზე დიალოგი შეცვლილია მექანიკურად დასწავლილი ენობრივი მასალის თხრობით; არცთუ ისე იშვიათად, დიალოგურ მეტყველებაში ვარჯიში დაყვანილია დასმული კითხვების „რეკონსტრუქციამდე"; მოსწავლეთა მონოლოგური მეტყველება ხშირად გაღარიბებულია და მხოლოდ წაკითხულის თხრობით განისაზღვრება. რიგი სკოლების IX—X კლასებში მოსწავლეების ზეპირმეტყველებაში მრავალმხრივი ვარჯიში შეცვლილია წინასწარ დამუშავებული სავარაუდო საგამოცდო თემების დასწავლით.

მეტად ნელა უმჯობესდება სოფლის სკოლების მოსწავლეთა მომზადების დონე უცხოურ ენებში.

უცხოური ენების სწავლებისა და მასწავლებელთა კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, კოლეგია ადგენს:

1. რსფსრ, ბელორუსიის სსრ, ყაზახეთის სსრ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროებმა:

— განიხილონ რესპუბლიკის სკოლებში შესწავლილი უცხოური ენების არსებული თანაფარდობა და ახლო მომავლისათვის შეიმუშაონ მათი სწავლების უფრო რაციონალური პრინციპები სადირექტივო ორგანოების მითითების შესაბამისად (ინგლისური ენა—50%, გერმანული ენა—20%, ფრანგული ენა — 20%, სხვა ენები — 10%.

2. მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროებმა:

სისტემატურად შეისწავლონ და განაზოგადონ უცხოური ენის სწავლებისა და მოსწავლეთა მიერ სამეტყველო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით კლასგარეშე ღონისძიებათა ჩატარების საქმეში პედაგოგიური კოლექტივების მოწინავე გამოცდილება;

— რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის რესპუბლიკურ კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტებთან ერთად მოაწყონ გადაცემათა ციკლი უცხოური ენების შესასწავლად;

— მიიღონ ზომები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების ფაკულტატიური სწავლების გასაფართოებლად;

— შეიმუშაონ სასწავლო-მეთოდური კომპლექსები უცხოურ ენებში;

— განიხილონ საკითხი უახლოეს წლებში ზოგი საგნის ესპანურ, იტალიურ, ჩინურ, არაბულ და სხვა ენებზე სწავლების სკოლების ქსელის გაზრდის შესაძლებლობის შესახებ და საჭირო წინადადებები შემოიტანონ სსრ კავშირის განათლების სამინისტროში 1975 წ. 1 იანვრამდე.

3. იმ მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროებმა, სადაც სკოლები სარგებლობენ რსფსრ უცხოური ენების სახელმძღვანელოებით, სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის სწავლების შინაარსისა და მეთოდების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად, 1974 წლის განმავლობაში შეიმუშაონ რეკომენდაციები ხსენებული სახელმძღვანელოების გამოსაქვეყნებლად რესპუბლიკაში მოქმედი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად.

4. ეთხოვოს სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიას (ამხ. ვ. ნ. სტოლეტოვს):

— 1975 წლის იანვრამდე დაამთავროს დამუშავება და წარმოადგინოს განსახილველად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უცხოური ენების ტიპური პროგრამის პროექტი;

— განიხილოს მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროებთან ერთად რესპუბლიკებში მოქმედი უცხოური ენების პროგრამები მათი ტიპობრივ პროგრამებთან შესატყვისობაში მოყვანის მიზნით;

— 1975 წლის 1-ელ იანვრამდე შეიტანოს საჭირო კორექტივები ზოგიერთი საგნის უცხოურ ენებზე სწავლებიანი სკოლების ტიპობრივ პროგრამებში.

5. სასწავლო დაწესებულებათა სამმართველომ (ამხ. ვ. კ. როზოვმა) და საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ვ. ნ. უსანოვმა), მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროებთან ერთად, განსაზღვრონ უცხოური ენების მასწავლებელთა კადრების საჭიროება პერსპექტივაში 1985 წლამდე და ამის შესაბამისად დაადგინონ აბიტურიენტების მიღება პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
სსრ კავშირის განათლების მინისტრი მ. პროკოფიევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ენების სწავლების საქმეში რესპუბლიკაში ამჟამად არსებული მდგომარეობის გამოსწორებისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ზემოაღნიშნული დადგენილების შესრულების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგემ, ქ. თბილისის გან. განყ-ბის გამგემ, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, 1974—1975 სასწავლო წლიდან მოყოლებული, თანდათან გაატარონ ღონისძიებანი, რათა 1935 წლისათვის რესპუბლიკის სკოლებში მიღწეულ იქნეს სადირექტივო ორგანოების მიერ დადგენილი თანაფარდობის (ინგლისური ენა — 50%, გერმანული ენა — 20%, ფრანგული ენა — 20%, სხვა ენები — 10%) შესრულება, რისთვისაც:

ა) შეისწავლონ და გააანალიზონ რაიონში, ქალაქში უცხოური ენების სწავლების პროცენტული თანაფარდობის ფაქტიური მდგომარეობა;

ბ) შეისწავლონ პედაგოგიური კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა და გაითვალისწინონ უცენზო ან სპეციალური უმაღლესი განათლების არმქონე მასწავლებელთა შემდგომი თანდათანობით შეცვლა სპეციალისტებით;

გ) როგორც წესი, ახლად გახსნილ სკოლებში შემოიღონ იმ უცხოური ენის სწავლება, რომელიც ხელს შეუწყობს დადგენილი პროცენტული თანაფარდობის განხორციელებას, ამ საკითხზე განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის განათლების განყოფილებათა გამგეებმა.

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) შეაჯამოს ადგილებიდან წარმოდგენილი მასალები და თანდათან გაატაროს სათანადო ღონისძიებები უცხოური ენების სწავლებაში საჭირო პროცენტული თანაფარდობის მისაღწევად;

ბ) უცხოური ენის სწავლებისა და მოსწავლეთა მიერ სამეტყველო უნარ-ჩვევების დაუფლების გამომუშავების მიზნით შეისწავლოს და განაზოგადოს კლასგარეშე ღონისძიებათა ჩატარების საქმეში პედაგოგიური კოლექტივების მოწინავე გამოცდილება;

გ) 1975 წლის 1-ლი იანვრისათვის მოამზადოს წინადადებანი

რიგი საგნების არაბულ და სპარსულ ენებზე სწავლების შემოღების თაობაზე საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროში წარ-დგენად.

3. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) და კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძემ) უცხოური ენების მასწავლებელთა კადრების პერსპექტიული მოთხოვნილების შესახებ ადგილებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე შეიმუშაონ და წარუდგინონ სათანადო მოთხოვნები უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს.

4. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძემ):

ა) მიიღოს საჭირო ზომები რესპუბლიკის სკოლებში უცხოური ენების მოქმედი პროგრამების ტიპობრივ პროგრამებთან შესატყვისობაში მოსაყვანად და აგრეთვე საჭირო კორექტივების შესატანად ზოგიერთი საგნის უცხოურ ენაზე სწავლებიანი სკოლების ტიპობრივ პროგრამებში;

ბ) შეიმუშაოს სასწავლო-მეთოდური კომპლექტები უცხოურ ენებში.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს (ამხ. კ. გარდაფხაძეს) მოაწყოს გადაცემათა ციკლი გერმანული და ფრანგული ენების შესასწავლად.

6. ეთხოვოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს (ამხ. გ. ჯიბლაძეს) განიხილოს საკითხი უახლოეს წლებში რესპუბლიკაში არაბული და სპარსული ენების სწავლების შემოსაღებად კადრების მომზადების შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 18 ივლისის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 24 ივლისის ბრძანება № 620

### ლაგოდეხის, ყვარლისა და გურჯაანის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, გაშვილებისა და მეურვეობა-მზრუნველობის დაწესების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 24 მაისის № 376 ბრძანების შესრულების შედეგების შესახებ

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ ლაგოდეხის, ყვარლისა და გურჯაანის რაიონების განათლების განყოფილებებმა (გამგეები შ. ჭინჭარაძე, დ. ლაფაჩიშვილი, მ. თოდაშვილი) 1973 წლის 24 მაისის ბრძანების შესაბამისად ძირითადად გარდაქმნეს მუშაობა, რის შედეგად აღნიშნულ რაიონებში გაძლიერდა განათლების ორგანოებისა და მთელი საზოგადოებრიობის ყურადღება უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა ბედისადმი, მათი ქონების მოვლა-პატრონობისადმი, გაუმჯობესდა დასახელებულ პუნქტებსა და სასწავლო დაწესებულებებში ამ ბავშვთა აღრიცხვის საქმეც. შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებებს შემოღებული აქვთ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის სპეციალური ჟურნალები. თითოეულ მათგანზე გახსნილია პირადი საქმე და, რაც მთავარია, რეგულარულად მოწმდება ამ ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობები და საჭიროების შემთხვევაში განათლების განყოფილებები ღებულობენ სათანადო ზომებს ბავშვების დასახმარებლად. მიზნობრივად არის გამოყენებული პატრონირებული ბავშვების დასახმარებლად ბიუჯეტით გამოყოფილი თანხები.

უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონირების, მეურვეობა-მზრუნველობისა და სწავლა-აღზრდის საქმეში აღსანიშნავია გურჯაანისა და ყვარლის სკოლა-ინტერნატების, კარდანახის საბავშვო სახლის დირექტორების (ო. ოქრობიძე, ვ. ლოლიაშვილი, გ. მღვდელაშვილი) კარგი მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რაიონებისა და ქალაქების სასწავლო დაწესებულებებსა და საცხოვრებელ ადგილებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის საქმეს და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად გაშვილების, პატრონირების და მათზე მეურვეობა-მზრუნველობის დაწესებას;

ბ) სისტემატურად შეისწავლონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობები და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ ქმედითი ზომები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

გ) ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით გადამჭრელი ზომები მიიღონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა ქონების აღრიცხვის, მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის;

დ) ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ 3 წლამდე ასაკის ბავშვების გაშვილებაში, მათზე პატრონირებისა და მეურვეობა-მზურნველობის დაწესებაში.

2. სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებმა ზუსტად აღრიცხონ უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და მოზარდები, მათ იუძრავ-მოძრავი ქონება, გაატარონ გასანადო ღონისძიებები ამ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და კუთვნილი ქონების შესანარჩუნებლად.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (თ. ნიკოლაიშვილი) პერიოდულად შეამოწმოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა გაშვილების, პატრონირებისა და მათზე მეურვეობა-მზრუნველობის დაწესების მდგომარეობა და მასალები წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 18 ივლისის კოლეგიის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი — თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მოხსენებითი ბარათი

### გურჯაანის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების დასახლებულ პუნქტებსა და დაწესებულებებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონირების გაშვილებისა და მეურვეობა-მზრუნველობის დაწესების თაობაზე განათლების სამინისტროს 1973 წლის 24 მაისის № 376 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

მიმდინარე წლის აპრილში შესწავლილ იქნა ლაგოდეხის, ყვარლისა და გურჯაანის რაიონების დასახლებულ პუნქტებსა და სასკოლო დაწესებულებებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონირების, გაშვილებისა და მეურვეობა-მზრუნველობის დაწესების საკითხი და აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებების მიერ განათლების სამინისტროს 1973 წლის 24 მაისის ბრძანების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებების ქმედითუნარიანობა. შემოწმებით დადგინდა, რომ ლაგოდეხის, ყვარლისა და გურჯაანის რაიონების განათლების განყოფილებების გამგეები (შ. ჯინჭარაძე, დ. ლაფაჩიშვილი, მ. თოდაშვილი) და სხვა მუშაკები აღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ რაიონში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შორის მუშაობის საქმეს. განათლების სამინისტროს 1974 წლის 24 მაისის ბრძანება № 376 განხილულია სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორების თათბირზე, ბრძანების შინაარსს გაცნობილი არიან სოფლის საბჭოები და რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები.

ბრძანების შესაბამისად, განათლების განყოფილებათა გამგეებს შედგენილი აქვთ რაიონში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შორის მუშაობის კონკრეტული სამუშაო გეგმა. ჩატარებული აღრიცხვის შედეგად ლაგოდეხის რაიონში 1974 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხული ჰყავდათ 35 უდედმამო ბავშვი, აქედან პატრონირებულია 18, გაშვილებულია 12, მეურვეობა-მზრუნველობა დაწესებულია 5 ბავშვზე; ყვარლის რაიონში აღრიცხულია 37 უდედმამო ბავშვი, აქედან პატრონატზე იმყოფება—2, გაშვილებულია—34, მეურვეობა-მზ-

რუნველობაზე ჰყავთ 1 ბავშვი; გურჯაანის რაიონში ამავე პერიოდისთვის აღრიცხულია 228 ბავშვი, პატრონატზე იმყოფება—2 გაშვილებულია 173 მეურვეობა-მზრუნველობა დაწესებულია 2 ბავშვზე. რაიონების განათლების განყოფილებებში შემოღებული აქვთ რაიონის სასკოლო დაწესებულებებისა და დასახლებულ პუნქტებში მყოფი უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც მუდმივად ინახება განათლების განყოფილებებში. მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად, პატრონატზე გადაცემულ, გაშვილებულ და მეურვეობა—მზრუნველობაზე მყოფ ბავშვებზე ცალცალკე შედგენილი აქვთ პირადი საქმეები, რომლებშიც, განათლების სამინისტროს ბრძანების შესაბამისად, თავმოყრილია ყველა საჭირო საბუთი.

დროგამოშვებით, განათლების სამინისტროს ბრძანების შესაბამისად, განათლების განყოფილების მუშაკები, რომლებსაც შემოკრებილი ჰყავთ რაიონის კომკავშირული და პროფკავშირულ აქტივი, ამოწმებენ პატრონირებულ, გაშვილებულ და მეურვეობა-მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობებს და გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად სახავენ ღონისძიებეს. სამივე რაიონში აღნიშნული საკითხი და არაერთხელ არის განხილული მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე, თათბირზე.

განათლების სამინისტროს 1973 წლის 24 მაისის ბრძანების მიღებამდე ლაგოდეხის, ყვარლისა და გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებები ყურადღებას არ აქცევდნენ ასაკის შესრულების შემდეგ ბავშვების აღრიცხვიდან მოხსნასა და მათ სამუშაოზე მოწყობის საქმეს. როგორც შემოწმებით დადგინდა, 1974 წლის იანვრისათვის ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილების მიერ ასაკის შესრულების გამო აღრიცხვიდან მოხსნილია 3 მოზარდი, ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების მიერ—4, გურჯაანის განათლების განყოფილების მიერ—6 მოზარდი, რომლებიც ჩაბმული არიან შრომით საქმიანობაში ან სწავლას განაგრძობენ სპეციალურ ტექნიკურ სასწავლებლებში.

უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებსა და მოზარდებზე მეურვეობა-მზრუნველობის დაწესებასა და მათი სწავლა-აღზრდის საქმეში თვალსაჩინო წარმატებები აქვთ მოპოვებული კარდანახის საბავშვო სახლის, გურჯაანის, ყვარლისა და ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატების დირექტორებს (შ. მღვდლიაშვილი, ო. ოქრომიძე, ე. ლოლიაშვილი, ვ. კობაძე). მათ მტკიცე კავშირი აქვთ ბავშვების ახლო ნათესავებთან,

სისტემატურად აზუსტებენ, თუ რა უძრავ—მოძრავი ქონება გააჩნიათ ბავშვებს ადგილებზე და ზრუნავენ ქონების დაცვისა და შენარჩუნებისათვის.

მაგრამ, აქვე არ შეიძლება არ დავძინოთ, რომ შემოწმებულ რაიონებში 3 წლამდე ბავშვების პატრონობის საქმეს ჯერ კიდევ ახორციელებენ განათლების განყოფილებები, ნაცვლად ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა. ასევე ადგილი აქვს მოქმედი ინსტრუქციის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს; მაგალითად, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში 3 წლმდე ასაკის (ახალშობილი ერთი თვის და მეტი ასაკის) 18 ბავშვი აღმოჩნდა სხვადასხვა გზით სამშობიარო თუ ჩვილ ბავშვთასახლებიდან გამოყვანილი. აქედან მხოლოდ 10 ბავშვის მიშვილებაა გაფორმებული მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომის მიერ, 8 მცირეწლოვანი კი ოჯახებში ჰყავთ გაფორმების გარეშე, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ინსპექტორი ს. ცინცაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 26 ივლისის ბრძანება № 628

## რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ მიუხედავად განათლების სამინისტროს მიერ არაერთგზის მითითებისა და გაფრთხილებისა, სკოლამდელ დაწესებულებათა საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობაში შეიმჩნევა სერიოზული დარღვევები. არ სრულდება განათლების სამინისტროს 1973 წლის 4 ოქტომბრის № 654 ბრძანება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს 1973 წლის 27 აპრილის დადგენილების 1973 წელს მუშა-მოსამსახურეთა შვილების საზაფხულო დასვენების ორგანიზაციის მიმდინარეობის შესახებ“.

აჭარის ასსრ, ხაშურის, გარდაბნის, ბორჯომის, საჩხერის, საგარეჯოს რაიონებში საგარაკოდ გასულ და ადგილზე დარჩენილ შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობა მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, არ აქვთ ეზოები, სასმელი წყალი, ირღვევა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არადამაკმაყოფილებელია ბავშვთა სამედიცინო მომსახურება, კვება და სხვ.

საგარეჯოს რაიონის ვერხვიანის საბავშვო ბაღი მოთავსებულია დაქირავებულ შენობაში, ხოლო ყანდაურის საბავშვო ბაღი — სკოლის პირველი სართულის ორ ბნელ, ნესტიან ოთახში. ამავე რაიონის კაკაბეთის საბავშვო ბაღში, საწოლებისა და ლოგინის მოწყობილობათა უქონლობის გამო, ბავშვებს ვერ აძინებენ, ასევე შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული გარდაბნის რაიონის „თბილსრესის“ ბაგა-ბაღი (გამგე ლ. ბაბაევი). ოთახები, სადაც სძინავთ ბავშვებს, ნესტიანი და ბნელია, ბაგა-ბაღის გამგეს ლ. ბაბაევას კი ამ ოთახის გვერდით დიდი და ნათელი ოთახი უკავია. ეზოში ანტისანიტარიაა. არ აქვს სანეპიდსადგურის ნებართვა აგარაკზე გასვლის შესახებ.

შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული აგრეთვე რკინიგზის № 20 საბავშვო ბაღი (გამგე ც. მაისურაძე), მას აკლია ინვენტარი, სათამაშოები (მხოლოდ ორი თოჯინა აქვთ წაღებული). ირღვევა დღის რეჟიმი, ბავშვებს სძინავთ ბაფთებით, ღამის პერანგების გარეშე, იზოლატორი საკუჭნაოს უფრო წარმოადგენს, ვიდრე სამედიცინო ოთახს (მასში მოთავსებულია უთო, სარეცხი ფხვნილი და სხვ.). საათფთიაქო კარადაში არეულია მედიკამენტები. სააღმზრდელო ჯგუფები არაა ესთეტიკურად გაფორმებული. არ აქვთ ბუნების, სათამაშოების, წიგნების კუთხეები. სამზარეულო მოუწესრიგებელია, არ აწარმოებენ სადილის სინჯებს, პროდუქტების დასამუშავებლად ფიცრები არაა ხმარებაში. მზარეულს შემოწმების დღეს მენიუ არ აღმოაჩნდა.

ქობულეთის რაიონის სოფ. მუხაესტატეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში არაა შექმნილი ბავშვთა ცხოვრებისათვის (გამგე ე. ვერულიძე) ნორმალური პირობები. სასმელ წყალს ეზიდებიან შორი მანძილიდან, დარღვეულია სანიტარული ნორმები. თეთრეული ჭუჭყიანია, სააღმზრდელო ჯგუფებსა და საპირფარეშოებში ანტისანიტარიაა. არ აქვთ საკმაო რაოდენობის ჭურჭელი, ბავშვები ალუმინის თეფშებიდან ღებულობენ ულუფას. საბავშვო ბაღის გამგე ვერ ერკვევა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციფიკაში. არ აქვს სამუშაო გეგმა, ათდღიური მენიუ, ბაგა და ბაღი მოთავსებულია ერთ შენობაში. მიუხედავად ქობულეთის განათლების განყოფილების ჩარევისა, მათი შეერთება დღემდე ვერ მოხერხდა.

დაბალ დონეზე დგას აღმზრდელობითი მუშაობა ქ. ქუთაისის № 5 საბავშვო ბაღში (გამგე ზ. ბოჭორიშვილი), აღმზრდელები თ. მეძველია და ვ. თვალთვალაძე ფორმალურად, უწიგნურად ადგენენ სამუშაო გეგმას. გარესამყაროს არ იყენებენ ბავშვთა გონებრივი განვითარებისა და მათი ჰორიზონტის გასაფართოვებლად.

სამტრედიის ძაფსაღები ფაბრიკის საბავშვო ბაღში აგარაკზე ასაკგადაცილებული ბავშვებია წაყვანილი, რომლებიც არ იხდიან კვების გადასახადს.

გარდაბნის რაიონის სოფ. გამარჯვებისა და რუბეროიდის ბაგა-ბაღებს არ გააჩნიათ დღის რეჟიმი. რუბეროიდის ბაგა-ბაღში (გამგე ქ. ყიფიანი) ბზგის ასაკის ბავშვებს კვებავენ მეტად დაგვიანებით. დარღვეულია სანიტ-ჰიგიენური ნორმები, უსუფთაო იატაკზე ბავშვები ჩასველებულ ლეიბებზე სხედან, ოთახში მრავლადაა ბუზი, არ აქვთ ინდივიდუალური ღამის ქოთნები, ბავშვები ერთმანეთის ქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თნებს ხმარობენ, რომლებიც არ სუფთავდება ქლორიანი ხსნარით და ინფექციის გავრცელების საშიშროებას ქმნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუწყნარებელია ბავშვთა მოვლა-პატრონობის საქმე გარ[illegible] რაიონის სამგორის საბჭოთა მეურნეობისა და საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მე-19 ბაგა-ბაღებში (გამგეები ო. ნატროშვილი, ა. ფაშიანი), ბავშვებს ფრჩხილები დაუჭრელი და ჭუჭყიანი აქვთ, ყურები გამოუსუფთავებელი, აცვიათ ჭუჭყიანი ტანსაცმელი, არ აქვთ ინდივიდუალური ცხვირსახოცები, კედელზე გაბმულია ობობის ქსელი, ოთახები ბუზებითაა სავსე.

სამგორის ბაგა-ბაღში სწორად არ წარმოებს ბავშვთა თერმომეტრიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ბაგა-ბაღს აქვს თოთხმეტი თერმომეტრი, ერთი თერმომეტრით ატარებენ თერმომეტრიზაციას. სათამაშოები მეტად მცირე რაოდენობით აქვთ, ისიც მოუვლელი და ჭუჭყიანია.

სამტრედიის ძაფსაღები ფაბრიკის საბავშვო ბაღსა და ბაგაში გამგეები ი. სტურუა, ნ. კაკაბაძე ახალდამწყები არიან და ვერ ერკვევიან საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციფიკაში. დაუკეტავი მაცივარი სამზარეულოში დგას, სადაც კარაქის მთელ მარაგს ინახავენ.

კვლავ დარღვევებია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კვაისის მაღაროთა სამმართველოს საბავშვო ბაღში. საბავშვო ბაღი დაკომპლექტებულია გამოუცდელი მუშაკებით. პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალიდან აგარაკზე გაყვანილია მხოლოდ სამ-სამი მუშაკი ამ საბავშვო ბაღში მომუშავეებიდან, დანარჩენი კი უცხოა. საბავშვო ბაღის გამგედ საღამოს სკოლის დირექტორია დროებით დანიშნული, მნედ — სამმართველოს ბუხჰალტერი, ექთნად — სავადმყოფოს ქირურგიული პირობების მედდა. საბავშვო ბაღში არაა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, იზოლატორი მოუწესრიგებელია, არა აქვთ მედიკამენტები, ინდივიდუალური პირსახოცები და ფეხის გასაშრალებელი, თეთრეული ჭუჭყიანია, 75 ბავშვზე 10 პირსახოცია. უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მენიუ-ფაქტურის შედგენას, თითქმის ყველა ფაქტურა გადასწორებულია, სამზარეულოში არ აქვთ სასწორი, რის გამოც პროდუქტების ქვაბში ჩაშვება თვალზომით ხდება. შემოწმების დღეს საწყობიდან გაცემული იყო 4,5 კგ კარაქი, საუზმის გაცემის შემდეგ, ნაცვლად 8,6 კგ კარაქისა, აღმოჩნდა 2,95 კგ, ე. ი. 650 გრამი კარაქით ნაკლები. საბავშვო ბაღში ყურადღება არ ექცევა ბავშვებში დადებითი ჩვევების აღზრდას, ჭამის

კულტურის დანერგვას, არ აქვთ ხელსაწმენდი, ბავშვები მაგიდებთან დიდხანს ელოდებიან ულუფას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობაში არადამაკმაყოფილებელია ბავშვთა კვება. საკვებში ჭარბობს ნახშირწყლები, კრუპეული. საჩხერის რაიონის სავანის საბავშვო ბაღში დღეში ორჯერ აძლევენ ფაფას შედედებული რძისაგან, სისტემატურად რა ეძლევათ ხორცი, ბოსტნეული, ხილი. უხარისხო პროდუქტების მიწოდების გამო ზოგიერთი საბავშვო ბაღი უკანვე აბრუნებს პროდუქტებს. ასე მაგალითად, ქ. თბილისის 22-ე საბავშვო ბაღმა უვარგისობის გამო ხორცი დააბრუნა, კასპის ცემენტის ქარხნისა და ფოთის № 2 საბავშვო ბაღში ადგილი აქვს რძის დაგვიანებით მიტანის შემთხვევებს. ლანჩხუთის რაიონის სოფ. ეწერის საბავშვო ბაღში მ წ 31 მაისს, პროდუქტების უვარგისობის გამო, მოხდა ბავშვთა მასობრივი მოწამვლა (17 ბავშვი). ბავშვთა მოწამვლის მიზეზი საქონლის ხორცის კონსერვი და მისი ტექნოლოგიურად არასწორად დამუშავება იყო. ქ. თბილისის 71-ე ბაგა-ბაღში ბავშვებს დააკლეს სადილისათვის განკუთვნილი 150 გრ კარაქი.

ზოგიერთმა განათლების განყოფილებამ არ გაატარა წინამოსამზადებელი ღონისძიებები საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობაზე ნორმალურად გადასვლისათვის (საბინაო პირობები, ბავშვთა კონტინგენტი, სათანადო პედაგოგიური, სამედიცინო და ტექნიკური პერსონალის შერჩევა, თანამშრომელთა სანიტარული წიგნაკების მოწესრიგება და სხვ.). აგარაკზე გასაყვან ბავშვთა კონტინგენტის შერჩევის საქმეში გარკვეული შეცდომა დაუშვა ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის განათლების განყოფილებამ, ამ რაიონის 22-ე საბავშვო ბაღი მეტად დაქუცმაცებული კონტინგენტით გავიდა აგარაკზე, რითაც დაირღვა განათლების სამინისტროს ის მითითება, სადაც აღნიშნულია, რომ განათლების განყოფილებას ეკრძალება 25 ბავშვზე (ერთ ჯგუფზე) ნაკლები კონტინგენტი შეუერთოს სხვა საბავშვო ბაღს და აგარაკზე აღმზრდელად და ძიძა-დამლაგებლად გააყოლონ უცხო პირი. აღნიშნული საბავშვო ბაღი კი, ნაცვლად 5 საალმზრდელო ჯგუფისა, გავიდა სამით, რაიონის შვიდი საბავშვო ბაღიდან ნაკრები ბავშვებით. ასე მაგალითად, მე-17 საბავშვო ბაღიდნ გაყვანილია ერთი ბავშვი, მეცხრამეტედან — 5,72-ე დან — 7 და ა. შ., დაუშვებელია როგორც პედაგოგიური, ასევე ბავშვთა ადაპტაციის თვალსაზრისით, — ბავშვებს უჭირთ არა მარტო სხვა გარემოსთან, არამედ უცხო პედაგოგებთან და ტექნიკურ პერსონალთან შეგუება.

წითელწყაროს რაიონის საბავშვო ბაღის გამგე თ. ზედელაშვილმა 108 აღსაზრდელი, ყოველგვარი მომზადებისა და სანეპიდსადგურის ნებართვის გარეშე, ჩაიყვანა დასასვენებლად თეთრიწყაროს რაიონის დაბა მანგლისში. აღნიშნული ბაღი მოთავსებულია დაბა მანგლისის რუსულ სკოლაში, რომლის სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა ძალზე არადამაკმაყოფილებელია. შენობა ავარიულია, საძინებელი ოთახების სანიტარულ-ტექნიკური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს საბავშვო ბაღისადმი წაყენებულ სანიტარულ მოთხოვნებს და ნორმებს. სახელდობრ, საძინებელი ოთახების კედლები და ჭერი ჩამონგრეულია, დანესტიანებულია, იატაკი ამომტვრეულია, ჭერიდან ჩამოდის წვიმის წყალი, ფართის სიმცირის გამო საწოლები მიდგმულია ერთმანეთზე, არა აქვთ საკანი პირადი ნივთების შესანახად, რის გამოც მათ ინახავენ საძინებელ ოთახებში.

სამზარეულოს ჭერისა და კედლების ბათქაში ჩამოცვენილია, არა აქვს ჭურჭლის სარეცხად გამდინარე ცივი წყალი, პროდუქტების დასამუშავებელი მარკირებული ფიცრები და დანები. ამ დარღვევებისათვის ბაგის გამგე სანეპიდსადგურის მიერ დაჯარიმებულია 30 მანეთით, ხოლო საბავშვო ბაღი უნდა გადავიდეს სხვა შენობაში ან დაბრუნდეს უკან.

ადგილი აქვს აგარაკზე ბავშვების სამედიცინო შემოწმების გარეშე გაყვანას. პლასტმასის ქარხნის საბავშვო ბაღმა სურამში გაიყვანა გულით დაავადებული ბავშვი, რომელიც დაბრუნებულ იქნა აგარაკიდან.

მოუწესრიგებელი და კეთილმოუწყობელია საგარეჯოს რაიონის სკოლამდელი დაწესებულებები და ეზოები. რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში ჯერჯერობით არაფერია გაკეთებული რესპუბლიკური დათვალიერების „მიწის ნაკვეთების საუკეთესო დაგეგმვის, კეთილმოწყობისა და მისი მიზნობრივად გამოყენების შესახებ შესახვედრად “. არა აქვთ საჩრდილობლები, ეზოს სკამები, საბოსტნე ნაკვეთები, სპორტული დანადგარები.

ზოგიერთ რაიონს თითო ჯგუფით გაჰყავს 2—3 ან მეტი საბავშო ბაღი აგარაკზე, მაშინ როდესაც შეიძლება ეს ბაღი შეერთდეს და ერთი გამგის ხელმძღვანელობით გაიგზავნოს, რაც ფინანსური თვალსაზრისითაც სწორი იქნება.

ხაშურის ბაგა-ბაღში ეზო შემოუღობავი და მეტად მოუვლელია, რის გამოც ვერ ხერხდება მისი გამოყენება ბავშვთა ფიზიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გონებრივი განვითარებისათვის, დაბალ დონეზეა ესთეტიკის საკითხები, ყურადღება არ ექცევა ჯგუფის ოთახების გაფორმებას.

სურამის საბავშვო ბაღის შემოწმების დროს 5—6 წლ[illegible] შვთა ჯგუფში (აღმზრდელი ი. ლორთქიფანიძე) 18 ბავშვიდან 12-ს ეძინა. ექვსი ბავში აღმზრდელის მეთვალყურეობის გარეშე თამაშობდა ეზოში.

ხაშურის რაიონში, გამაჯანსაღებელ მუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, განათლების განყოფილებას არ გაუზრდია ბავშვთა კვების თანხა (6 კაპიკი).

საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის საბავშვო ბაღში (გამგე ქ. დეკანოზიშვილი) შეფერხებაა წყლის მოწოდების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაღში ადგილი აქვს ინფექციური ჩუტყვავილის შემთხვას, სააღმზრდელო ჯგუფები იზოლირებული არაა ერთმანეთისაგან და ბავშვები საჭმელს ერთად ღებულობენ და ჭურჭელიც ერთად ირეცხება. საპირფარეშოები არ სუფთავდება სადეზინფექციო ხსნარით. საგარეჯოს № 1 საბავშვო ბაღში ბავშვების პირსახოცებზე არა აქვთ ნიშნები, რის გამოც დარღვეულია მათი ინდივიდუალური ხმარების წესი.

საჩხერის № 1 საბავშვო ბაღში არასწორად ატარებენ დილის ვარჯიშს, წინასწარ არ არჩევენ ვარჯიშობათა კომპლექსებს, არ იცავენ ბავშვთა პირად ჰიგიენას, ძილის წინ ყველა ბავშვი ერთდროულად, ერთ ჭურჭელში იბანს ფეხებს.

ამავე რაიონის საგნის საბავშვო ბაღში, გამაჯანსაღებელ მუშაობაზე გადსვლასთან დაკავშირებით, არ ჩატარებულა მშობელთა კრება.

დარღვევებია კადრების დაკომპლექტების საქმეში. კასპის ცემენტის ქარხნის ორჯგუფიან საბავშვო ბაღს აგარაკზე ახლავს 11 თანამშრომელი, რომელთა გარკვეულ ნაწილს არა აქვს სანიტარული წიგნაკები, საჩხერის № 3 საბავშვო ბაღში, ნაცვლად იმისა, რომ გამგე ატარებდეს დღეში 3,5 პედაგოგიურ საათს, აღმზრდელის ზედმეტი შტატია დაშვებული. სამხრეთ ოსეთის ა/ო კვაისის მაღაროს სამმართველოს საბავშვო ბაღში პედაგოგიური კადრები სკოლის მასწავლებლებითა და სტუდენტებითაა დაკომპლექტებული.

სურამის საბავშვო ბაღში კადრების უმრავლესობა საპენსიო ასაკისაა, რაც უარყოფითად მოქმედებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე. ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელს თვითნებურად შეაქვს ცვლილებები აგარაკზე გათვალისწინე-

ბულ შტატებში, დამლაგებლის საშტატო ერთეულს იყენებენ მნედ, მრეცხავად და სხვ.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობა ბავშვთა გაჯანსაღება-გაკაჟებისათვის არ იყენებს ბუნებრივ ფაქტორებს მზის, ჰაერისა და წყლის აბაზანებს. სათანადო მუშაობა არ ტარდება ბავშვთა აზროვნების, მეტყველების, გარემომცველ სამყაროზე წარმოდგენათა განსავითარებლად. ბუნებრივი მასალები არაა გამოყენებული ბავშვთა შემოქმედებისათვის თვითნაკეთი სათამაშოების დასამზადებლად.

მიუხედავად განათლების სამინისტროს არაერთგზის გაფრთხილებისა, რომ აგარაკზე გასული საბავშვო ბაღები რეგისტრაციაში უნდა ტარდებოდნენ ადგილობრივ განათლების განყოფილებაში, ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულების ხელმძღვანელი ამას თავს არიდებს, რის გამოც არ ხერხდება მათი ადგილსამყოფელის დადგენა.

უნდა აღინიშნოს, შემოწმების შედეგად გამოვლინებული ნაკლოვანებები ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ განათლების განყოფილებათა ზოგიერთი გამგე და საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელი ჯეროვან შეფასებას არ აძლევს ბავშვთა გამაჯანსაღებელ კომპანიას ფრიად მნიშვნელოვან საქმეს და არ ატარებს წინამოსამზადებელ მუშაობას უპასუხისმგებლობას იჩენს სკოლამდელ დაწესებულებათა პედაგოგიური კადრითა და ბავშვებით დაკომპლექტების საქმეში (განსაკუთრებით სხვა უწყებები), სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორ-მეთოდისტებთან ერთად არ ამოწმებს ადგილზე დარჩენილ და აგარაკზე გასულ სკოლამდელ დაწესებულებებს, არ უწევს სათანადო დახმარებას და არ ახდენს დროულ რეაგირებას გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სკოლამდელ დაწესებულებათ საზაფხულო—გამაჯანსაღებელ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებმა:

ა) საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 4 ოქტომბრის № 654 ბრძანებით;

**ბ) დაუყოვნებლივ მიიღონ ქმედითი ზომები სკოლამდელ დაწე-**

სებულებათა გამაჯანსაღებელ მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სასწრაფო ლიკვიდაციისათვის, შექმნან ყველა პირობა ბავშვთა ნორმალური ცხოვრება-გაკაჟებისათვის და დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოყენონ ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩასატარებლად;

გ) განურჩევლად უწყებრივი დაქვემდებარებისა, ათი დღის ვადაში შეისწავლონ, როგორც ადგილზე, ასევე აგარაკზე გასული სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობა და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გაატარონ სათანადო ღონისძიებები. ის საბავშვო ბაღები, რომლებიც აგარაკებზე გასულია შეუფერებელ პირობებში, დაუყოვნებლივ დააბრუნონ ადგილებზე;

დ) მომავალში აღკვეთონ სკოლამდელ დაწესებულებათა ((ყველა უწყების) აგარაკზე გასვლა შესაფერისი კადრების შერჩევისა და ბავშვთა სწორი დაკომპლექტების გარეშე. სხვ უწყების ხელმძღვანელებთან ერთად პირადად გაეცნონ და დაამტკიცონ კადრის შემადგენლობა;

ე) დაავალდებულონ სკოლამდელი დაწესებულებები, აგარაკზე გასვლისთანავე გატარდნენ რეგისტრაციაში ადგილობრივ განათლების განყოფილებაში;

ვ) საკითხი, საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შესახებ, განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე; პერსონალურად იმსჯელონ და დასაჯონ ამ ბრძანებაში აღნიშნული დამნაშავე პირები და მიღებული ზომების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აცნობონ მ/წლის 20 სექტემბრამდე.

2. დაისვას საკითხი სავაჭრო ორგანიზაციების წინაშე სკოლამდელ დაწესებულებათა მაღალხარისხოვანი პროდუქტებით შეუფერხებელი მომარაგების შესახებ.

3. აღნიშნული ბრძანება დაეგზავნოს სამინისტროებსა და უწყებებს, მათი სისტემის სკოლამდელ დაწესებულებებში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ლანჩხუთის რაიონის სოფ. ეწრის საბავშვო ბაღში მომხდარი ფაქტების შესახებ საკითხი განიხილა საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიონულმა კომიტეტმა (10 ივლისი, № 19, 26(VI) და გაატაროს სათანადო ღონისძიება (საბავშვო ბაღის გამგე, სავაჭრო საცალო გაერთიანების დირექტორი მოხსნილი არიან სამუშაოდან, ხოლო საქმე გადაცემულია პროკურატურაში).

5. კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ განათლების განყოფილებათა

გამგეებს, ერთნაირი პასუხისმგებლობა გამოაჩინონ ყველა უწყების სკოლამდელ დაწესებულებათა მიმართ და გაუწიონ სათანადო ხელმძღვანელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ, (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 25 ივლისის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 2 აგვისტოს ბრძანება № 641

### 1974 წლის პირველ და მეორე კვარტალში სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების მდგომარეობის შესახებ

განათლების სამინისტროში შემოსული მასალებით ირკვევა, რომ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ერთ ნაწილში საკმაო ყურადღება ექცევა სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვებას. დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სასურსათო საქონლით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების საქმე ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ, ყრუ ბავშვთა, ქობულეთის სატყეო, კასპის, ზუგდიდისა და გურჯაანის საშუალო, ქ. თბილისისა და ინგირის რვაწლიან სკოლა-ინტერნატებში, მახინჯაურის, ეწერის საბავშვო სახლებში და სამტრედიის სპეციალურ სკოლა-ინტერნატში.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა კვებას. იგი ხშირად არ შეესაბამება დადგენილ ნორმებსა და სახეებს. სავაჭრო ორგანიზაციები გეგმიურად არ ამარაგებენ პროდუქტებით სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებს.

1974 წლის I კვარტალში სავაჭრო ორგანიზაციებს არ მიუწოდებიათ არცერთი კილოგრამი ლობიო ახალციხის მე-2, კაჭრეთის, ახალსოფლის, მარნეულის, წულუკიძის, კალდახვარის, მახუნცეთის, გლდანის № 1 სპორტულ საშუალო, ლენინგორისა და თბილისის 8 წლიანი, ქუთაისის ყრუ ბავშვთა, თიბლისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატებისათვის, მახინჯაურის, რუსთავის, კოჯრის მე-3 თელავის 1-ლი, სურამის საბავშვო სახლებისა და ჭიათურის, მიუსერისა და კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატებისათვის, ახალი ხილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდისა და ახალსოფლის საშუალო, ბოდბისა და ჩხოროწყუს 3 წლიანი სკოლა-ინტერანატებისათვის; თევზი—ბოდბის, კიცხის და მესტიის საშუალო, ბოგდანოვკისა და კალდახვარის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატებისათვის. ახალი რძე— ლენტეხისა და მესტიის საშუალო, სალხინოს, ბოდბისა და ჩხოროწყუს 8 წლიანი სკოლა-ინტერატებისათვის. ყველი—მესტიის საშუალო და ჩხოროწყუს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატებისათვის. კვერცხი—ზუგდიდის, თიანეთის, მესტიის საშუალო და ჩხოროწყუს რვაწლანი სკოლა-ინტერნატებისათვის.

დაშვებულ ნორმებთან შედარებით სავაჭრო ორგანიზაციებმა დიდი რაოდენობით დააკლეს პროდუქტები შემდეგ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლებს: ბათუმის № 1, მაკარონი-ვერმიშელი I კვარტალში — 488 კგ, II კვარტალში — 483 კგ, ბოსტნეული I კვარტალში — 1778 კგ, II კვარტალში — 824 კგ, ახალი ხილი I კვარტალში — 3308 კგ, II კვარტალში — 2353 კგ, თევზი I კვარტალში — 539 კგ, II კვარტალში — 640 კგ, მცენარეული ზეთი I კვარტალში — 114 კგ, II კვარტალში — 140 კგ, კირნათის: კარტოფილი I კვარტალში — 2091 კგ, II კვარტალში — 1831 კგ, ბოსტნეული I კვარტალში — 2106 კგ, II კვარტალში 1698 კგ, ახალი ხილი I კვარტალში — 1917 კგ, II კვარტალში — 2318 კგ, თევზი I კვარტალში — 660 კგ, II კვარტალში — 379 კგ, ახალი რძე I კვარტალში — 411 კგ, II კვარტალში — 1101 კგ, ყველი I კვარტალში — 354, გკ, II კვარტალში — 184 კგ, კვერცხი I კვარტალში — 4978 ც, II კვარტალში — 4228 ც. მახუნცეთის კარტოფილი I კვარტალში — 1700 კგ; II კვარტალში — 2558 კგ. ბოსტნეული I კვარტალში — 2000 კგ, II კვარტალში — 2568 კგ. თევზი I კვარტალში — 718 კგ. II კვარტალში — 641 კგ, ცხინვალის სკოლა-ინტერნატს: ყველი I კვარტალში — 670 კგ, II კვარტალში — 500 კგ. კვერცხი I კვარტალში — 10981 ც. II კვარტალში — 6615 კგ. ატენის — ხორცი I კვარტალში — 300 კგ, II კვარტალში — 425 კგ. თევზი I კვარტალში — 851 კგ. II კვარტალში — 636 კგ; ყველი I კვარტალში — 380 კგ, II კვარტალში — 200 კგ. კვერცხი II კვარტალში — 4320 ცალი, ლაგოდეხის: რძე II კვარტალში — 400 კგ, კვერცხი 2853 ც, კარტოფილი 912 კგ, ბოსტნეული 1587 კგ; მესტიის სკოლა-ინტერნატს: ლობიო I კვარტალში — 218 კგ, II კვარტალში — 196 კგ. ბოსტნეული I კვარტალში — 2052 კგ; II კვარტალში — 1808 კგ, ახალი ხილი I კვარტალში — 1620 კგ, II კვარტალში 1752 კგ, ხორცი II კვარტალში—347 კგ, კვერცხი I კვარტალში—5650 ც. II კვარტალში — 2797 ცალი; ლენინიგორის საბავშვო სახლს — ლო-

ბით I კვარტალში 159 კგ, II კვარტალში — 404 კგ. ხორცი I კვარტალში — 270 კგ, II კვარტალში — 232 კგ, თევზი I კვარტალში 185 კგ, II კვარტალში — 200 კგ, ახალი რძე I კვარტალში 1125 კგ, II კვარტალში—1129 კგ; კოჯრის № 2 საბავშვო სახლის: ყველი I კვარტალში — 75 კგ, II კვარტალში — 127 კგ, კვერცხი — 2656 ც. II კვარტალში — 2267 ც.

სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებმა მინიმალური რაოდენობითაც კი ვერ უზრუნველყვეს მათზე გაპიროვნებული სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთათვის ახალი რძის, ყველისა და კვერცხის მიწოდება, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კირნათის, მახუნცეთის, ჯავის საშუალო, კალდახვარის, ლაჯანურის და ჩხოროწყუს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატები. რუსთავის, კოჯრის № 1, № 3 საბავშვო სახლები და მიუსერას დამხმარე სკოლა-ინტერნატი.

სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლებისათვის პროდუქტების დიდი დანაკლისით მიწოდება მკვეთრად აუარესებს კერძების ხარისხსა და აძნელებს მისი გამრავალფეროვნების შესაძლებლობას, რის გამოც აღსაზრდელები ხშირად უარს ამბობენ ერთფეროვანი კერძების მიღებაზე და ამიტომ ვერ ღებულობენ დღიური ნორმით გათვალისწინებულ კალორიებს.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლები დირექტორთა ერთი ნაწილი დროულად ვერ ადგენს განათლების სამინისტროში ცნობებს კვების პროდუქტების ათვისების შესახებ; 1974 წლის 10 აპრილამდე წარმოსადგენი ცნობები 7 ივნისისათვის არ ქონდათ წარმოდგენილი: სოხუმის № 1, განათლების, ახალქალაქის, ახმეტის, ბარისახოს, თიანეთის საშუალო და ლენინგორის, ზუგდიდის, ბოდბის, თეთრიწყაროს და წითელწყაროს რვაწლიან სკოლა-ინტერნატებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებს:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გამოყოფილი სასურსათო პროდუქტების ფონდების სრულად ათვისებასა და აღსაზრდელების კვებით უზრუნველყოფას, ამასთან ერთად ბავშვთა კვების ხარისხის ამაღლების მიზნით დასახონ ღონისძიებანი დამხმარე მეურნეობების მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ბ) სათანადო ზომები განახორციელონ კვების ბლოკებში სასი-მუშო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დამყარებისა და მათი საჭირო ინვენტარით, ჭურჭლეულობითა და ტექნიკური მოწყობილობით უზრუნველყოფისათვის.

ყოველი კვარტალის დამთავრებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, განათლების სამინისტროს სათანადო განმარტებით წარმოუდგინონ ცნობები კვების პროდუქტების ათვისების შესახებ.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მაღალმთიან რაიონებში მდებარე სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასურსათო პროდუქტების მომარაგებას;

ბ) გამოავლინონ და მკაცრად დასაჯონ პირები, რომლებიც სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში უხეშად არღვევენ აღსაზრდელთა კვებით მომსახურების საქმეს.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირს, ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სახლებსა და სპეცილურ სკოლა-ინტერნტებს, საჭირო ასორტიმენტის კვების პროდუქტებით შეუფერხებლად მომარაგების საქმეში.

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 25 ივლისის დადგენილება.

მინისტრის მოადგილე **უშ. იბოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 5 აგვისტოს ბრძანება № 643

